სპორტი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 21 თებერვალი 2006 №38 (2660) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალენდარდიანი ფიქრები

ცხოვრება გაფრთხილებთ: კალენდრით თამაში საზიანოა ფეხბურთის ჯანმრთელობისთვის

5



წავალ და დაგეკარგები

რონალდომ რეალზე სხვანაირი ლაპარაკი დაიწყო

7



გაუშვი, იფრინოს

აღმოსავლეთმა ლებრონ ჯეიმსი აწია

12

გამზრდელი

შაკაჯი ბაუთურქი შაკაჯ ტოპიზე: სულ მოგებაზე ფიქრობდა, ტაქტიკას თითქმის არასოდეს ცვლიდა. შეტევა! აი, მისი ტაქტიკა

ღამის სანახაობა

ჩვენ მზად ვართ! თქვენ?

წინ, პარიზისკენ! ჩემპიონთა ლიგას შემორჩენილი თექვსმეტი უძლიერესი გუნდი პლეი ოფის ეტაპს იწყებს: დღეს და ხვალ მერვედფინალის პირველი მატჩებია. რას იხილავს ევროპელი ქომაგი ამ საღამოს, ქართული საზომით კი შუაღამისას? „ბაიერნისა“ და „მილანის“, „ბენფიკასა“ და „ლივერპულის“, „პსვ ეინდჰოვენისა“ და „ლიონის“, „რეალისა“ და „არსენალის“ დაპირისპირებებს. დანარჩენი ოთხი თამაში, „აიაქსი“ — „ინტერი“, „ვერდერი“ — „იუვენტუსი“, „ჩელსი“ — „ბარსელონა“ და „რეინჯერსი“ — „ვილიარეალი“ კი ხვალ გაიმართება. საპასუხო მატჩებისთვის უეფას კალენდარზე 8 და 9 მარტი აქვს შემოხაზული.

ჰოდა, ევროგრანდებო, წინ, პარიზისკენ, სადაც 17 მაისს გამარჯვებულის ვინაობა უნდა გაირკვეს. წინ და, გარწმუნებთ, რომ ტელეეკრანებთან ჩინებულ ფორმაში მყოფი ქართველი მაყურებელი გელოდებათ.

ზინედინ ზიდანი და მისი „რეალი“ „არსენალის“ ამოყირავებას აპირებენ

ნალჩიკში თბილისური შვიდიანით

გოგიტა გოგუა სპარტაკში პლეიმეიკერად და მეგოლედ აქციეს

აგრესიული, მოუღლელი და პლასტიკური — 22 წლის შუახაზელი გოგიტა გოგუა ეროვნულ ნაკრებში მალტის ტურნირისთვის გამოძახებულ 35-კაციან სიაში არ შეიყვანეს, მაგრამ გოგუასთვის ამ ეტაპზე მთავარი ალბათ საკლუბო კარიერაა — წინა სეზონში გოგუა „თბილისიდან“ რუსეთის პირველი დივიზიონის „ხიმკიში“ გადავიდა, სადაც სათამაშო პრაქტიკა, ფაქტობრივად, არ ჰქონდა. ამ ცოტა ხნის წინ კი გოგუა რუსულ პრემიერლიგაში აღზევებულ ნალჩიკის „სპარტაკში“ ჩაირიცხა, რომელმაც გუშინ მოილია ანთალიური შეკრება და გოგიტასაც იქ დავურეკეთ...

— „სპარტაკში“ განათხოვრებით გადახვედი?

— დიახ, იჯარით ვითამაშებ ერთ სეზონს და ნალჩიკელებთან ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ „ხიმკისთან“ კონტრაქტის კიდევ ორი წელი მექნება დარჩენილი.

— რაც ნალჩიკის „სპარტაკმა“ ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო, სულ ამ გუნდში ხარ, თუმცა კონტრაქტი ახლახან გააფორმე — რა იყო გაჭიანურების მიზეზი?

— ჩემი „სპარტაკში“ დარჩენა აღრევე გადაწყდა, მაგრამ გაურკვეველი რჩებოდა ის, თუ ვინ იქნებოდა კლუბის ხელმძღვანელობაში. კონტრაქტიც ამის გამო ჭიანურდებოდა.

— დღეს ანთალიაში შეკრების ბოლო საკონტროლო მატჩი გქონდათ...

— ლაშა ჯაკობიას ხარკოვის „მეტალისტს“ 1:0 მოვუგეთ და გოლი მე გავიტანე. მანამდე ჩიტის „ლოკომოტივს“ 1:1 ვეთამაშეთ და იქაც შევაგდე.

— გოლებს რომ მოუხშირე, ეს იმას ნიშნავს, რომ „სპარტაკში“ ამპლუა შეგიცვალეს?

— ხშირად თავდამსხმელების უკან მიწევს თამაში, ხანაც საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე.

— გოჩა ხოჯავა „სპარტაკში“ გასინჯვაზეა და როგორი შანსი აქვს, შენი თანაგუნდელი რომ გახდეს?

— ხოჯავას დღეს არ უთამაშია, მანამდე ითამაშა ერთ-ერთ საკონტროლო მატჩში და ჩვენმა მწვრთნელმა მასზე თქვა, ნიჭიერი ფეხბურთელიაო. ახლა გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, ხოჯავას საკითხი რამდენიმე დღეში გაირკვევა.

— ერთ-ერთმა რუსულმა გაზეთმა დაწერა, ნალჩიკის „სპარტაკში“ ალეკო ამისულაშვილი მიდისო...

— ამის შესახებ პირველად მესმის. ვიცი, რომ „სპარტაკი“ მცველს ეძებს, მაგრამ ამისულაშვილზე არაფერი გამიგია.

— „სპარტაკში“ რუსეთის მოქალაქე ალექსანდრე ჩიხრაძეც თამაშობს...

— მას უკვე დავუმეგობრდი, ცოტა ქართული ესმის, თუმც ჩვენებურად სიტყვას ვერ ამბობს, ის გუნდში პირველი მეკარეა. „სპარტაკშია“ ანდრეი პოროშინიც, ადრე ქუთაისის „ტორპედოში“ რომ თამაშობდა.

— პრემიერლიგაში „სპარტაკის“ მთავარი მიზანი რა იქნება?

— „სპარტაკი“ ნორმალური გუნდია, მაგრამ პრემიერლიგის დებიუტანტები ვართ და მომავალ სეზონში ჩვენი უმთავრესი ამოცანა პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. უკვე მეოთხე შეკრება მოვილიეთ, კარგად ვართ მომზადებულები, ხვალ რუსეთში ვბრუნდებით, თუმცა შესაძლოა, სეზონის დაწყებამდე მეხუთე შეკრებაზეც წავიდეთ.

— „სპარტაკში“ ნომერი უკვე მოგცეს?

— კი, ჩემი თხოვნით მეშვიდე ნომერი მომცეს. „თბილისში“ 77 ნომრით ვთამაშობდი და მაშინ ყველაფერი კარგად წამივიდა.

— „თბილისიდან“ „ხიმკიში“ გადახვედი — ახლანდელი გადასახედიდან როგორ ფიქრობ, ეს ნაჩქარევი გადაწყვეტილება იყო?

— ვფიქრობ, იმ მომენტში „ხიმკიში“ წასვლა სწორი გადაწყვეტილება იყო, თბილისის „დინამოში“ გადასვლის შესაძლებლობა კი მქონდა, მაგრამ „დინამოში“ ვერ დავრჩებოდი — თუ საქართველოში ვითამაშებდი, მხოლოდ „თბილისში“.

— „ხიმკის“ პირველ გუნდში თამაში თითქმის არ გიწევდა — „სპარტაკში“ რომ მიხვედი, ძირითადში თამაშის პერსპექტივაზე რა გითხრეს?

— კონკურენცია „სპარტაკშიც“ არის, მაგრამ აქ ძირითადში ბევრად უფრო ხშირად რომ ვითამაშებ, ვიდრე „ხიმკიში“, ამის ზუსტად თქმა შემიძლია. ვიცი, რომ „სპარტაკში“ მენდობიან.

დავით თავართქილაძე

არის ძოძუაშვილი, არ არის აირზენა

გრიგოლ ხურციძე: გაისად სამეულისთვის ვიბრძოლებთ

სულ მალე ქუთაისის „ტორპედოს“ საქმე წაღმა წავა — ეს ცხადზე ცხადია. საქართველო ის ქვეყანაა, სადაც კლუბებს განსაკუთრებით ეტყობათ ძლიერი სპონსორის ხელი, ანუ თუ ხაზინაში ფულია, ქართული მასშტაბით ხმაურიანი გუნდის გაკეთება იოლად შეიძლება. და თუ ამას კლუბის ტრადიციებიც ერთვის?

იმის თქმა გვინდა, რომ ქუთაისის „ტორპედოს“ მძლავრი ინვესტორი ეყოლება, ოღონდ ეს არ იქნება ავიაკომპანია „აირზენა“ — ასე გვითხრა „ტორპედოს“ პრეზიდენტმა გრიგოლ ხურციძემ.

სამაგიეროდ, გადაწყდა, რომ ქუთაითურთა მთავარ მწვრთნელად სულ მალე რევაზ ძოძუაშვილი ოფიციალურად დაინიშნება.

„ძოძუაშვილი უკვე გუნდის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარეა, იგი ახლა ბალტიისპირეთში წავიდა რაღაც საკითხის მოსაგვარებლად და დაახლოებით ათ დღეში ჩამოვა, მანამდე კი მთავარ მწვრთნელად იური კვერნაძე იმუშავებს. რევაზ ძოძუაშვილთან მოლაპარაკებას თვენახევარი ვაწარმოებდით და მოხარული ვარ, რომ წარმატებით დავასრულეთ. ახლა უკვე დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ „ტორპედო“ საგრძნობლად გაძლიერდება“ — იმედიანადაა გრიგოლ ხურციძე.

რაც შეეხება ინვესტორს: „ტორპედოს“ პრეზიდენტმა გვითხრა, რომ კლუბს ის კომპანია მიხელავს, რომლის მესვეურებიც მისი მეგობრები არიან: „ჯერჯერობით ვერ გავახმაურებ, დაახლოებით თვენახევარში შეიტყობთ კომპანიის სახელს. „ტორპედო“ სულ სხვა გუნდი იქნება. მომავალ სეზონში ჩემპიონობისთვის თუ არა, სამეულისთვის მაინც ვიბრძოლებთ“.

მოკლედ, „ტორპედო“ კარგ ხასიათზე ხვდება მეორე წრეს, რომლის პირველ ტურში ხვალ თბილისის „ამერთან“ ითამაშებს.

და კიდევ, გრიგოლ ხურციძემ ისიც გვითხრა, რომ მეკარე მირზა მერლანი ლიტვურ „ვეტრასთან“ აგვარებს საქმეს და მოგვიანებით შეუერთდება „ტორპედოს“.

ილია ნანოგაშვილი

ზესტაფონი თოვლმა ისანში გაუშვა

ზესტაფონის ცენტრალური სტადიონი ისევ თეთრადაა გადაპენტილი, თოვლი არა და არ დადნა. ამის გამო, მოგეხსენებათ, „ზესტაფონი“ — „დინამოს“ 18 თებერვალს გასამართი სათასო მატჩი გადაიდო, ახლა კი ფეროელებს ერთი საშინაო თამაშის სტუმრად გამართვაც მოუწევთ: კერძოდ, ხვალ სამეორეწრეო პირველ ტურში თემურ მახარაძის გუნდი თბილისის „ოლიმპზე“ შეხვდება აუტსაიდერ „თბილისს“.

ბუნებრივია, სტუმრად გაუთვალისწინებლად თამაში ვერაფერი სიამოვნებაა „ზესტაფონისთვის“, მაგრამ ბუნებამ ასე ბრძანა...

და კიდევ, „ფეროსთან“ დაკავშირებული სკანდალის გამო „ზესტაფონის“ ფეხბურთელები დათრგუნულები არიან და იმერლები შიშობენ, ვაითუ ეს მათ თამაშსაც დაეტყოსო.

ილია ნანოგაშვილი

ინგლისი

კონფერენსლიგა
XXX ტური
ანკარაგტონი 2:0 მორიკომბი

გერმანია

II ბუნდესლიგა. XXII ტური
ალემანია 0:0 კოტბუსი

იტალია

სერია C/A. XXIV ტური
სალერნიტანა 3:2 ლუმეცანე

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XVII ტური
ტეპლიცე 2:1 პრჟიბრამი

ჰოლანდია

მეორე დივიზიონი
XXXI ტური
ემენი 3:0 აპელდორნი
მაასტრიხტი 3:1 სიტარდი
გრაააფსხაპი 1:0 დენ ბოსხი

პორტუგალია

სუპერლიგა
XXIII ტური
ლეირია — სეტუბალი
გვიან დამთავრდა

საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. XX ტური
კალამარია 2:0 ირაკლისი

ყოფილ დინამოელ კახა კალაძეს უბედურება დაატყდა თავს. საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ მთელი კოლექტივი იზიარებს იმ დიდ ტკივილს, რომელსაც განიცდის კალაძეების ოჯახი და თანადგომას უცხადებს მათ.

თვალ თვალი

გუგა დიასამიძე გუშინ 14 წლის გახდა, ერთი თვის შემდეგ კი მას „აიაქსის“ საფეხბურთო სკოლაში ელიან, სადაც არველაძეების საქველმოქმედო ფონდის მეშვეობით მოხვდა. ფოტო ნოემბერშია გადაღებული, შოთა არველაძის ამსტერდამულ ბინაში. კადრში შემოსწრებული რონალდ დე ბურიც მოხვდა — კარის მეზობელთან შემთხვევით შეუვლია. მეოთხე კი გიორგია, შოთას ძე.

ტოპმიოლერ შაკაჯი

თავადაც დიდი შაკაჯი, ანუ ხუმარა ილდირაი ბაშთურქი: ტოპმიოლერს დავუჯერე და მეშველა, თქვენც თუ დაუჯერებთ...

ტელეფონით ინტერვიუს გაკეთებას რა უნდა?! რესპონდენტის ნომერი, კალამ-ფურცელი და კითხვა-პასუხი... მაგრამ როცა რესპონდენტი მხოლოდ ფეხბურთელი კი არა, მსახიობიცაა... ლევერკუზენის „ბაიერი", კლაუს ტოპმიოლერი, ილდირაი ბაშთურქი... საქართველოს ნაკრების მწვრთნელზე ვინ აღარ ილაპარაკა. ძმამ თუ მეგობარმა, ცოლმა თუ შვილმა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და საქართველოს პრეზიდენტმა. ვინღა დარჩა? ჩვენ ვაფასებთ ტოპმიოლერს საკლუბო შედეგებით და მასზე მონაყოლით, მაგრამ არ ვიცოდით, რას ფიქრობენ ჰერ კლაუსზე ყოფილი შეგირდები.

ამიტომაც დავურეკეთ ილდირაი ბაშთურქს, ვისაც ტომპიოლერის ხელქვეით „ბოხუმსა" და „ბაიერში" უთამაშია, ახლა კი ბერლინის „ჰერტაშია". ბაშთურქმა საუბრისასაც დაამტკიცა, რომ გერმანელი მწვრთნელისგან დაცვაც კარგად უსწავლია და შეტევაც, თან მსახიობიც ყოფილა.

ჩვენი საუბარი კი ორად, ანუ პირველ-მეორე დღეებად გავყავით, რადგან...

პირველ დღეს:

— სალამალეიქუმ, ილდირაი ბეი.

— ვინ ბრძანდებით?

— თბილისიდან, სპორტული გაზეთიდან გაწუხებთ მცირეოდენი თურქულის მცოდნე ქართველი ჟურნალისტი.

— რა გნებავთ?

— თქვენი ყოფილი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი ჩვენი ნაკრების მწვრთნელია და ეგებ დაგვიხასიათოთ.

— სახლში არაა, ვარჯიშზეა.

— ვინაა ვარჯიშზე?

— ილდირაი.

— თქვენ ბაშთურქი არ ხართ?

— არა, რა ბაშთურქი, ვინ მოგცათ ეს ტელეფონი?

— რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენი საქმეც ხომ ეგ არის...

— ილდირაი სავარჯიშოდაა. ხვალ საღამოს დარეკეთ.

აშკარაა, ბაშთურქია, მაგრამ საუბარს გაურბის და ფიქრობს, როგორ გამოძვრეს... შეკითხვას აღარ დაელოდა და თქვა, რომ ილდირაის მეგობარია, ჰასანი.

მეორე დღე — ილდირაი ანუ ჰასანი და პირიქით:

— სალამალეიქუმ ილდირაი ბეი.

— ბაშთურქი არ ვარ, ჰასანი ვარ. მკითხეთ და მე გიპასუხებთ ტოპმიოლერზე.

— თქვენ რას გვიპასუხებთ...

— მეც ვიცნობ ტოპმიოლერს.

— ილდირაი სადაა?

— ბაშთურქზე უკეთ მე ვიცნობ თქვენს მწვრთნელს.

— საიდან?

— თავად ვარ ილდირაი ბაშთურქი.

ილდირაი-ჰასანმა მოგვიბოდიშა ორდღიანი შაითანობის გამო და ზედაც ხუმრობა მოაყოლა — ყველაფერს გეტყვით ტოპმიოლერზე 500 ევროს სანაცვლოდო.

მაშ ასე, ილდირაი ბაშთურქი კლაუს ტოპმიოლერზე, რომელიც ფეხბურთელის თქმით, დიდი „შაკაჯი" (თურქულად ხუმარა) ვინმეა...

...1997-ში მოყვარულთა გუნდ „ვატენშაიდიდან" „ბოხუმში" გადავედი, სადაც კლაუს ტოპმიოლერი გავიცანი და ახლა დასტურ შემიძლია ვთქვა, რომ მან პროფესიონალად მაქცია. მის ხელში გავიზარდე როგორც ფეხბურთელი, რისთვისაც ძალიან ვემადლიერები. 2001 წელს „ლევერკუზენში" წამიყვანა. გეხსომებათ, ისეთი კაშკაშა გუნდი გააკეთა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გვათამაშა.

...ტოპმიოლერი ყველა მწვრთნელზე უკეთესია მათ შორის, ვისთანაც მითამაშია.

...კარგი ხასიათი აქვს. ფეხბურთელებთან სათითაოდ საუბარი უყვარს. პირად ცხოვრებაზე ხშირად გვესაუბრებოდა, რათა ჩვენი პრობლემები გაეგო და დაგვხმარებოდა.

...მისთვის ფეხბურთელის ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. შანსს აძლევს ნებისმიერს, ვინც მოინდომებს და დაამტკიცებს, რომ ფორმაშია.

...მახსოვს, ჩემპიონთა ლიგის წაგებული ფინალის შემდეგ ერთი სიტყვითაც კი არ დაუწუწუნია, მოვიდა და თითოეულს მადლობა გვითხრა კარგი თამაშისთვის.

...ახლა არ ვიცი, მაგრამ „ბოხუმსა" და „ბაიერში" მატჩების წინ მეტოქეზე თითქმის არ ლაპარაკობდა. ასე იყო ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც კი. გასახდელში მადრიდის „რეალი" არც უხსენებია. მისთვის მეტოქის სახელს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. სურს, რომ შენი თავის ირწმუნო და მოწინააღმდეგეზე ნაკლები იფიქრო. ტოპმიოლერს შეუძლია დაარწმუნოს ფეხბურთელი, რომ ის სხვაზე უკეთესია.

...სულ მოგებაზე ფიქრობდა და ტაქტიკას, ფაქტობრივად, არასოდეს ცვლიდა. შეტევა, შეტევა და შეტევა — აი, მისი ტაქტიკა.

...თამაშის დროს მოედნის კიდიდან, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება გიკარნახოს რამე.

...ძალიან უყვარს ხუმრობა. გაბრაზებით კი მაშინ ბრაზობს, თუკი ნახა, რომ რომელიმე ფეხბურთელი მოედანზე ბოლომდე არ დაიხარჯა და ითაღლითა. ასეთ დროს შეიძლება დაუყვიროს კიდეც.

...ტოპმიოლერს ვარჯიშებიც განსაკუთრებული აქვს. მასთან დრო სწრაფად და ხალისიანად გადის...

ილდირაი ბაშთურქს თბილისურ მატჩზეც ვკითხეთ, თურქებმა 5:2 რომ მოგვიგეს. მანდევაძესთან შეჯახება გაიხსენა და მეკარე მოიკითხა. როცა გაიგო, დევაძეს ტვინის შერყევა დაემართაო... ალაჰ, ალაჰ! ჩემი ბრალი არ იყოო, მოიბოდიშა.

კითხვაზე, უშველის თუ არა კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრებს, ბაშთურქმა გულიანად გაიცინა, მე დავუჯერე და მეშველა, თქვენც თუ დაუჯერებთ... მგონი, მასზე უკეთესი მწვრთნელი აქამდე არ გყოლიათ და ეს შანსი უნდა გამოიყენოთო.

ვაჟა ხუციშვილი

ილდირაი ბაშთურქმა დაიფიცა, ალაჰ, ქართველი მეკარის დაშავება ჩემი ბრალი არ იყოო

ბადრი ჯიბლაძის ფოტო

ქართველები უცხოეთში

ეძღვნება კახას!

მილანმა კალაძის გული და თვითმფრინავი დაუთმო

ამ გოლს კახას ვუძღვნი — განაცხადა მატჩის შემდგომ „მილანის“ ფორვარდმა ალბერტო ჯილარდინომ, ვისი პენალტითაც მილანელებმა „კალიარი“ 1:0 დაამარცხეს. *კახა კალაძის* ტრაგედიის ამბავი ყველამ იცით და ბევრს აღარ გავაგრძელებთ. იმას კი ერთხელაც აღვნიშნავთ, რომ უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ძალა გამონახა და მოედანზე მაინც გავიდა.

— მის ადგილზე ყოფნას არავის ვუსურვებ, მაგრამ ფაქტია, კახამ ყველაფერს გადაბიჯა და დღეს ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მთელი „მილანი“ კალაძის გვერდითაა — ეს სიტყვები კი გუნდის თავკაც კარლო ანჩელოტის ეკუთვნის.

მოკლედ, „მილანმა“ მოიგო, კალაძე კი გუნდს ჩემპიონთა ლიგის მატჩში, მიუნხენის „ბაიერნთანაც“ დაეხმარება და მერე ჩამოვა თბილისში. ითქვა, იტალიის პრემიერ-მინისტრმა და „მილანის“ პატრონმა სალვიო ბერლუსკონიმ ქართველ ფეხბურთელს საკუთარი თვითმფრინავი დაუთმო საქართველოში ჩამოსასვლელადო...

გერმანულ ბუნდესლიგაში ორივე ქართველმა ითამაშა. მართალია, შალკელ *ლევან კობიაშვილზე* ამის აღნიშვნა უადგილოა, მაგრამ ივივეს ველარ ვიტყვით ვოლფსბურგელ *ლევან ცქიტიშვილზე*, ვისაც ბოლოხანს პრობლემები ჰქონდა მწვრთნელთან — ივი „ნიურნბერგთან“ მატჩში ძირითადში იყო, თუმცა 59-ე წუთზე შეცვალეს, „ვოლფსბურგმა“ კი 0:1 წაგო.

ტრავმა მოირჩინა ზურაბ ხიზანიშვილმა და „სანდერლენდთან“ შეცვლაზეც ითამაშა. „ბლეკბერნმა“ 2:0 დაამარცხა პრემიერლიგის აუტსაიდერი და ახლა მეშვიდე ადგილზეა საატურნირო ცხრილში.

ისრაელის ჩემპიონატში მეორე მატჩი ჩაატარა გიორგი დემეტრაძემ და ამჯერადაც შეცვლაზე. თელავიველებმა სტუმრად 1:3 წააგეს წააგეს ფეთაჰ-თიკვას „მაკაბისთან“, „დემე“ კი მწვრთნელმა 74-ე წუთზე შეუშვა მოედანზე.

უილბლო ტური ჰქონდა შოთა არველაძეს — ჯერ ერთი, მისმა „ალკმაარმა“ შინ „უტრეხტთან“ 2:3 წაგო და მეორეც შოთამ ტრავმა მიიღო. ჯერჯერობით გაურკვეველია, რამდენი ხნით მოუწევს მკურნალობა ერედივიზიონის ქართველ ბომბარდირს.

კახა შალამბერიძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	ნთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	კალიარი 1:0	90		17	1	2
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	ჰერტა 2:1	90		21	2	4
ლევან ცქიტიშვილი	ვოლფსბურგი	ს	ნიურნბერგი 0:1	59	შეცვალეს	14	0	13
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	კარლსრუე 1:1	0	ტრავმირებულია	19	2	6
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	ს	კარლსრუე 1:1	0		2	0	6
დავით სირაძე	აუე	შ	უნტერჰახინგი 0:1	0	ტრავმირებულია	3	0	13
გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	ზტ. პაული	შ	დიუსელდორფი 1:1	0		17	1	2
გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა								
მიხეილ საჯაია	ბაიროითი	ს	შტუტგარტი (შ) 0:2	0		16	12	10
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	შ	სანდერლენდი 2:0	8	შეცვლაზე ითამაშა	17	0	7
ჰოლანდია. ერედივიზიონი								
შოთა არველაძე	ალკმაარი	შ	უტრეხტი 2:3	90		23	20	3
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ს	ნაიმეგენი 3:0	0	ტრავმირებულია	13	0	9
ავსტრია. მაქსიმუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	შ	გრაცერი 0:0	90		20	6	8
ისრაელი. უმაღლესი ლიგა								
გიორგი დემეტრაძე	მ. თელ ავივი	ს	მ. ფეთაჰ-თიკვა 1:3	16	შეცვლაზე ითამაშა	2	0	5
საბერძნეთი. ეროვნული ლიგა								
ლევან მალრაძე	ქანთი	შ	ატრომიტოსი 1:0	90		16	0	4

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

კუნძულება სია გამოფენა

დუშან ფიტცელი

მალტის ტურნირი და კლაუს ტოპმიოლერის დებიუტი ახლოვდება. გეცოდინებათ, კუნძულის სამგუნდა ტურნირზე ქართველები 27 თებერვალს მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებს შეხვდებიან, 1 მარტს კი მალტის ეროვნულ ნაკრებს, რომელთა ჩეხმა თავკაცმა დუშან ფიტცელმა საამტურნირო 25-კაციანი სია დაასახელა:

მეკარეები: *რობენ გაუჩი (მარსაქლოკი), ჟუსტინ ჰაბერი (კოვეილი, საფრანგეთი), მარიო მუსკატი (ჰიბერნიანსი);*

მცველები: *სიან აზოპარდი, იან სიანტარი (ორივე ფლორიანა), ვილიამ კამენზუდი, კენეტ შიგლუნა (ორივე ბირკირკარა), ლუკე დიმეჩი (ჩესტერი, ინგლისი), ადრიან პულისი, პეტერ პულიჩინო (ორივე ჰიბერნიანი), ბრაიან სადი (შლიეპა), სტივ ველმანი (მარსაქლოკი);*

ნახევარმცველები: *ჟილბერტ აგუსი, ჯონ ბონდინი, კლოდ მატოქსი (ყველა ვალეტა), ანდრე აგუსი (მესინა, იტალია), ოროსკო ანონანი (შლიეპა), შონ ბაჯადა (მარსაქლოკი), როდერიკ ბრიფა, ჯორჯ მალია (ორივე ბირკირკარა), ტრევორ ჩილია (ფლორიანა);*

თავდამსხმელები: *ეტიენ ბარბარა (ბირკირკარა), მიქაელ ბიფსუდი (ლილესტრიომი, ნორვეგია), ივან ვუღსი (შლიეპა), ენდრიუ კოენი (ჰიბერნიანსი).*

რევაზ ჭოხონელიძე: რუსული მაფია რა შუაშია?

ცხადია, კახა კალაძის ძმის, ლევანის მკვლელობის გახსნას არა მარტო საქართველოში, იტალიაშიც საკმაო გამოხმაურება მოჰყვა. როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება, უცხოურმა საგენტოებმა სხვა ვერსიებიც გამოთქვეს და სწორედ ამას გაუკეთა კომენტარი „მილანის“ სულელიონერმა რევაზ ჭოხონელიძემ ერთ-ერთ იტალიურ გაზეთში.

„სადღაც წავიკითხე, ლევან კალაძის მკვლელობაში რუსული მაფიის ხელი ურევიაო, მაგრამ ეს არაა მართალი. მაფიოზები რა შუაშია? ისინი იყვნენ პროფესიონალი გამტაცებლები, რომლებისთვისაც ადამიანობა უცხო ხილია. სამწუხაროდ, ლევანის საქმე საქართველოში პირველი არაა. იქ ორი პარლამენტარი, ასევე, ფრანგი და გერმანელი ჟურნალისტები გაიტაცეს, გაეროს ჯარისკაცებსაც გადასწვლნენ. ეს ხალხი სპეციალურად ეძებს ეკონომიკურად წელგამართულ ადამიანებს, რათა მათი გატაცებით ფული მიიღონ“ — ეს ჭოხონელიძის სიტყვებია და ვაი, რომ ცამდე მართალიც...

ლუკა თალაკვაძე

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

ოცდახუთი მამაცი გული


უოლტერ სმიტი

ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქე შოტლანდია 1 მარტს ამხანაგურ მატჩში შვეიცარიას უმასპინძლებს. სქოთთა თავკაცმა უოლტერ სმიტმა გლაზგოს „ჰემდენ პარკზე“ სათამაშოდ 25 ფეხბურთელი გამოიძახა, რომელთაგან ორი ახალწვეულია — ინგლისური „უიგანის“ მცველი გარი ტილი და უელსური „კარდიფის“ მეკარე ნილ ალექსანდერი.

მეკარეები: *კრეიგ გორდონი (ჰართსი), დევიდ მარშალი (სელტიკი), ნილ ალექსანდერი (კარდიფი);*

მცველები: *გრეგ ალექსანდერი (პრესტონი), რასელ ანდერსონი (აბერდინი), გარი კოლდუელი (ჰიბერნიანი), სტივენ კოლდუელი (სანდერლენდი), კრისტიან დეილი (ვესტ ჰემი), გარი ნეისმიტი, დევიდ ვეირი (ორივე ევერტონი), სტივენ პრესლი, ენდი ვებსტერი (ორივე ჰართსი);*

ნახევარმცველები: *ბარი ფერგიუსონი, იან მიურეი (ორივე რეინჯერსი), დარენ ფლეტჩერი (მანჩესტერ იუნაიტედი), პოლ ჰარტლი (ჰართსი), ლი მაკკულოჰი, გარი ტილი (ორივე უიგანი), ნაიჯელ ქეოში (ვესტ ბრომვიჩი), ჯეიმი სმიტი (აბერდინი);*

თავდამსხმელები: *ჯეიმს მაკფადენი (ევერტონი), შონ შელონი (სელტიკი), ჯენი მილერი (ვულვზი), გარი ოკონორი, დერეკ რიორდანი (ორივე ჰიბერნიანი).*

კალენდარდიანი ფიქრები

ცხოვრება გაფრთხილებთ: კალენდრით თამაში საზიანოა ფეხბურთის ჯანმრთელობისთვის

ბაღრე კეთილაძის ფოტო

საქართველოს ნაკრების თემამ ბოლო ორი თვეა, ყველა და ყველაფერი გადაჩრდილა. მე-17 ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრეც თითქოს შეუმჩნევლად მოგვადგა კარს...

წლევანდელი ჩემპიონატი ექსპერიმენტულია. რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ უმაღლეს ლიგაში გუნდების ერთბაშად 16-მდე გაზრდა ნაადრევი რომ გამოდგა, ამას ფეხბურთის ფედერაციაც და პროფლიგაც აღარ ხდიან სადავოდ. უცებ და თანაც ხელოვნურად, გუნდების მზაობისა და ლიცენზირების მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად ჩემპიონატის ფორმატის შეცვლა ერთი პრობლემა იყო, რომელსაც სხვა არაერთი დაერთო...

დავიწყოთ იმით, რომ წლეულს საქართველოს ჩემპიონატი უპრეცედენტოდ ადრე — 9 მაისს დასრულდება. მიზეზი? მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპი. ფიფამ რეკომენდაცია მისცა მის წევრ ასოციაციებს, წლეულს შედარებით ადრე დაასრულონ ეროვნული პირველობები, რაც მუნდიალზე მოხვედრილ ნაკრებებს სრულფასოვანი მზადების საშუალებას მისცემს. და რა შუაშია საქართველო? ჩვენიდან მუნდიალამდე ჯერ ძალიან შორია და არც საქართველოს ჩემპიონატია გადაჭედილი სხვა ქვეყნების ნაკრებთა წევრი ლეგიონერებით. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა ესარგებლა იმით, რომ მაისის ბოლოდან ორი კვირის განმავლობაში მსოფლიოს 32 საუკეთესო ნაკრები მზადების ბოლო ეტაპს ევროპაში გაივლის და თითოეულ მათგანს რამდენიმე სპარინგპარტნიორი დასჭირდება — ჩემპიონატს ცოტა ადრე დავასრულებთ და ერთ ან რამდენიმე ძლიერ ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრას გავჩარხავთო.

მხოლოდ მისასალმებელია ფედერაციის სურვილი, მაქსიმალური ხელშეწყობის რეჟიმი შეუქმნას კლაუს ტოპმიოლერს, თუმცა ზედმეტმა მონდომებამ შესაძლოა საპირისპირო შედეგი მოგვცეს.

პირველი: საქართველოს ნაკრების ძირითადი შემადგენლობის 90 პროცენტს ლეგიონერები შეადგენენ და როდის მოახერხებს ტოპმიოლერი შეკრების დაწყებას, არა იმდენად ჩვენს ფედერაციაზეა დამოკიდებული, რამდენადაც ლეგიონერების კლუბებზე და იმ ჩემპიონატების დასრულებაზე, სადაც თამაშობენ.

მეორე: გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ნაკრები 24 მაისიდან დაიწყებს მზადებას ევროპაში გასამართი სპარინგის თუ სპარინგებისთვის. რამდენად შეძლებს ეროვნული ჩემპიონატიდან ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელი 9 მაისიდან (ჩემპიონატის ბოლო ტურის თარიღია) 24 მაისამდე საჭირო ფორმის შენარჩუნებას? ეგებ პირიქით ჯობდა, ბოლო ტური, ვთქვათ, 19-20 მაისს გაგვემართა და მენაკრებეთათვის რამდენიმედღიანი დასვენების საშუალება მიგვეცა?

მესამე: ჩემპიონატის ნაადრევად დასრულების კიდევ ერთ მიზეზად 19-წლამდელთა ნაკრები სახელდება, რომელიც ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფური ეტაპის მატჩებისთვის მზადებას 14 მაისიდან იწყებს. 19-წლამდელთა ნაკრებში ფეხბურთელთა გაშვება „ზესტაფონის“ გარდა არც ერთ სხვა გუნდს არ შეუქმნის სერიოზულ პრობლემას თუნდაც იმიტომ, რომ ეს ბიჭები ისედაც იშვიათად ხვდებიან ძირითად შემადგენლობაში. ამ შემთხვევაშიც ეგებ ჯობდა, იმავ „ზესტაფონისთვის“ შეგვექმნა ხელშემწყობი პირობები, ერთი კონკრეტული გუნდის შეხვედრათა თარიღები წაგვენაცვლებინა და მთელი კალენდარი არ მოგვეჭრა მის თარგზე.

ამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სად გვქონდა გარანტია, რომ პარაგვაელებს ამხანაგურ შეხვედრაზე შევუთანხმდებოდით — ჩემპიონატის ბოლო ტურისა და საქართველოს თასის ფინალური შეხვედრის თარიღები ხომ თითქმის ორი კვირით ადრე გაირკვა, სანამ ასუნსიონში პარაგვაელებთან შეთანხმება გაფორმდებოდა. თანაც, თუ ამ პრინციპს მივყევით, ყოველ ლუწ წელს ჩემპიონატი მაისის პირველ რიცხვებში უნდა დავასრულოთ: 2008-ში ევროპის ჩემპიონატის წინ იქნება შესაძლებელი სპარინგპარტნიორის მოძებნა, 2010-ში ისევ მსოფლიო ჩემპიონატია და ასე შემდეგ...

დროებით დავივიწყოთ მიზეზები და შედეგიც ვახსენოთ: უმაღლესი ლიგის კლუბებს ორთვენახევრის განმავლობაში 15 მატჩის გამართვა უწევთ, თასის ნახევარფინალისტებს — ოთხით მეტის. ერთი კონკრეტული თვე ავიღოთ: 23 მარტიდან 22 აპრილამდე ჩემპიონატის რვა ტურის გამართვაა დაგეგმილი. შეხვედრებს შორის საშუალოდ ოთხი დღეც არ რჩება. ამგვარი დატვირთვით ინგლისური პრემიერლიგის და სერია A-ს გუნდებიც არ თამაშობენ და თავად განსაჯეთ, რამხელა წნეხის ქვეშ ექცევა თითოეული გუნდი, ფეხბურთელი, მწვრთნელი. ამგვარ რეჟიმს ის გუნდიც ძნელად გაუძლებს, სრულფასოვანი რეაბილიტაციის, ვიტამინიზაციის, კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების, ბოლოს და ბოლოს — კალორიული კვების უფლებას რომ აძლევს თავს.

კალენდრის შედგენისას ალბათ მწვრთნელთა აზრის მოსმენა და მათი პრობლემების გათვალისწინებაც იყო საჭირო. ნორმალურ ჩემპიონატსა და ნორმალურ კლუბში მატჩის მომდევნო დღე აღდგენით პროცედურებს ეთმობა, გასვლით შეხვედრებზე კი გუნდი წინა დღეს უნდა გაემგზავროს.

კიდევ ერთი მაგალითი: 15 აპრილს „კახეთი“ თელავში „ბათუმს“ მასპინძლობს. ჯემალ მახარაშვილი 16-ში ვერაფრით მოახერხებს სრულფასოვანი ვარჯიშის ჩატარებას. არადა, 18 აპრილს ფოთში უწევს გამგზავრება, რათა 19-ში 15 საათზე „ფაზისზე“ გაიყვანოს გუნდი „კოლხეთთან“ სათამაშოდ. გამოდის, ორ ტურს შორის მთავარ მწვრთნელს ერთადერთი 17 აპრილი რჩება საწვრთნელი პროცესისთვის. რომელ თამაშის დახვწასა და საფეხბურთო დონის ამაღლებაზეა ლაპარაკი? ან რას მისცემს გამოფიტულ, უხელფასობით და უყურადღებობით განაწამებ გუნდთან შეხვედრა იმათ, სეზონისწინა შეკრებებს ათობით ათასი რომ დაახარჯეს?!

ყველაფერი კი მატჩების დირექტორთა პატაკებით მთავრდება — შეხვედრა შედგა, ჩემპიონატი სრული სვლით მიდის...

სჭირდება ვინმეს ასეთი ჩემპიონატი?

ახლა პირველ ლიგასაც გადავხედოთ. ვის რა რჯიდა, ბოლო ტურის თარიღად 10 მაისი რომ დაადგინა, ამ შემთხვევაში გასამართლებელ საბუთად ვეღარც მსოფლიოს ჩემპიონატი ივარგებს და ვერც ეროვნული ნაკრების ინტერესები. რეალური მიზეზი 19-წლამდელთა ნაკრებია, რომლის ძირითად ბირთვს საკუთარ ფარმკლუბში „ზესტაფონმა“ მოუყარა თავი (მწვრთნელის ჩათვლით) და რომელიც, ზემოთაც ვახსენეთ, 14 მაისს ევროშესარჩევ შეხვედრებზე უნდა გაემგზავროს...

უმაღლესი ლიგის ექვსი გუნდი პირველ ლიგაში ფარმკლუბითაა წარმოდგენილი. ხშირ შემთხვევაში, პირველი ლიგის განაცხადში შეყვანილ ფეხბურთელებს უმაღლესშიც უწევთ თამაში. ახლა კი მწვრთნელებს პირველლიგელთა ამგვარად გამოცდის თუ გამოყენების შანსი ესპობათ — იქაც ასევე მიჯრითაა ტურები ჩამოწიკწიკებული. „ვიტ ჯორჯიას“, „დინამოს“, „ამერის“, „ზესტაფონის“ „ლოკომოტივის“ და „თბილისის“ ხელმძღვანელებს ორივე ლიგაში ერთად უკვე ნახსენებ პერიოდში — 23 მარტიდან 22 აპრილამდე — 17-17 მატჩზე აქვთ საფიქრალი. თანაც, ფარმკლუბები ხშირად იმავე მოედნით სარგებლობენ, რომლითაც ძირითადი გუნდი, ამგვარი დატვირთვის პირობებში კი ის მოედნებიც საბოლოოდ გავერანდება, რომლებიც გაგვაჩნია.

ხშირად გაგვიგია პათეტიკურად ნათქვამი, ქართული ფეხბურთი პირამიდაა, რომლის საფუძველსაც ბავშვთა ფეხბურთი და ეროვნული ჩემპიონატი წარმოადგენს, წვერს კი ეროვნული ნაკრებიო. ანაც, სახლის შენება საძირკვლიდან უნდა დავიწყოთ და არა სახურავიდანო. ეროვნული ჩემპიონატის, მასში მონაწილე კლუბების ინტერესთა გაუთვალისწინებლობა ორიოდ წლის შემდეგ მკაცრი რეალობის წინაშე დაგვაყენებს — მენაკრებეთა ეს თაობა კარიერას დასრულებს, საქართველოს ჩემპიონატი კი ახალ კალაძეებს, კობიაშვილებს, არველაძეებს ვეღარანაირად ვეღარ გაგაჯიზრდის.

გუშინ ვცადეთ, კლუბების წარმომადგენელთა აზრიც გაგვეგო. მათი უმრავლესობა პოზიციის ღიად დაფიქსირებას მოერიდა და მხოლოდ იმათ მოგვცეს საგაზეთო კომენტარზე დასტური, ვინაც „ვაგებით ეკიდება“ დღევანდელ ვითარებას. ისიც გვითხრეს, რომ თუნდაც ამგვარი შემჭიდროვებული კალენდრით ერთი წლის განმავლობაში თამაში ასატანია, მთავარია, ამან რეგულარული ხასიათი არ მიიღოსო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რა ქნან იმ ფეხბურთელებმა, ვის კარიერასაც ეს სეზონი იმდენად მძიმე ტვირთად დააწვება, რომ უკეთეს შემთხვევაში პროფესიული ზრდის პოტენციალსაც დაუქვეითებს ან სულაც ჩაუკლავს ზრდის სურვილს.

ერთი სიტყვით, რაც ზემოთ ითქვა, ასეც შეიძლება შევაჯამოთ — კალენდარი ფეხბურთში იგივეა, რაც გულისცემის რიტმი ცოცხალი ორგანიზმისთვის. გამუდმებული და ხელოვნური არითმია კი ჯანმრთელობისთვის ძალიან, ძალიან საზიანოა და ზოგჯერ სასწრაფო დახმარებაც ვეღარ შველის...

გიორგი ნოზაძე

ამას კიდე გაგიჭეგა უნდა?!

მაურინიუმ ბარსას შაირი დაუწყო

„ბარსას“ ლონდონური მინდორი არ მოსწონს. ყოზე მაურინიუ სიცილით ხვდება კატალონიური გაზეთების აგორებულ ამბავს, „ჩელსის“ მწვრთნელი განგებ აფუჭებინებს „სტემფორდ ბრიჯის“ ბალახს, რათა „ბარსელონამ“ ზედ ჩვეულად ვერ გააგოროს ბურთიო.

თუ ეგრეა, წამოვიდნენ და ჩვენს ბაზაზე ნებისმიერი მინდორი აირჩიონ, იქ ვითამაშოთო, ხუმრობს მაურინიუ.

საქმით კი „ჩელსი“ „ბარსელონას“ სთავაზობს, თუ მართლა სჯერა ამ სისულელისა, „სტემფორდ ბრიჯზე“ ნუ ივარჯიშებენ და მართლა აირჩიონ ჩვენი ბაზის რომელიმე მინდორიო.

„ბარსა“ სამშაბათს აპირებს ვარჯიშს ლონდონში, ოღონდ, ჩანს, ჯერაც ორჭოფობს, თუ სად გააგოროს ბურთი.

„ესენი გამაგიჟებენ. თამაშის წინა დღეს ვარჯიში, არაფერია — ამბობს მაურინიუ — ბურთის გორება და მორჩა. თუ მართლა რამე საგანგებო უნდათ, რაც ჩვენ ხელშია, ყველაფერს შევთავაზებთ. ზოგჯერ აღმოჩნდება, რომ ძალიან კარგი ადამიანები უტკინოები აღმოჩნდებიან, ცუდი ადამიანები კი ბრძენნი. „სტემფორდ ბრიჯის“ მინდორიც ამას ჰგავს. ეგებ საუკეთესო არ იყოს, მაგრამ ბურთი კარგად დაგორავს“.

ირაკლი გამყრელიძე

ფრანჩესკო ტოტი იმედის ტოტზე

ვანილით მოწამლულ გლადიატორს ბრძოლები ესიზმრება

ფრანჩესკო ტოტის ოპერაციამ კარგად ჩაიარა და იგი მშვენიერ ხასიათზეა — ირწმუნება „რომას“ მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი. დედაქალაქელებმა გასულ უქმეებზე „ემპოლის“ მოუგეს, რაც მათი ზედიზედ მეათე გამარჯვება იყო, სერია A-ს რეკორდიც დაამყარეს და მეოთხე ადგილზეც აინაცვლეს. მაგრამ ეს ყველაფერი გუნდის კაპიტნისა და ლიდერის ფრანჩესკო ტოტის სერიოზული ტრავმით ჩაშხამდათ.

მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ იტალიის ნაკრების ერთ-ერთ მთავარ იმედს შესაძლოა მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვებაც მოუხდეს. სასწრაფო ოპერაციის შემდეგ ექიმები იმედოვნებენ, რომ სარეაბილიტაციო პერიოდი ორთვენახევარს გასტანს, თუმცა არის იმის ალბათობაც, რომ დრო უფრო გაიწელოს. ორი თვე კი ის მინიმუმია, რომლის დროსაც ტოტის ტრავმის მოშუშება მოუწევს.

„ტოტის იმედი აქვს, რომ მალე მორჩება. ხუმრობს კიდეც, არ ინერვიულოთ, კვირას „ლაციოსთან“ ჩემ მაგივრობას ჩემი ვაჟი კრისტიანი გაწევსო. ძალიან სასიხარულოა, რომ ტოტი ასეთ გუნებაზეა, ხუმრობს და განწყობას არ იფუჭებს. ეს მას მალე გამოჯანმრთელებაშიც დაეხმარება“ — თქვა სპალეტიმ.

დიახ, კვირას „ლაციო“ — „რომაა“, რომლისთვისაც ყველა და მით უმეტეს, ტოტი განსაკუთრებულად ემზადებოდა. თუმცა „გლადიატორთა“ და „სკუადრა ადურას“ 10 ნომერს ახლა სანერვიულო უფრო სხვა რამ აქვს — მუნდიალი. მარჩელო ლიპი ნაკრების აწყობას მისით აპირებდა და თავად ტოტიც დიდი ენთუზიაზმით ელის მსოფლიოს ჩემპიონატს.

ლუჩანო სპალეტი: „მისი პირველი კითხვა, ცხადია, სარეაბილიტაციო პერიოდს ეხებოდა. ფრანჩესკო შიშობს, რომ მუნდიალის გამოტოვება მოუწევს, მაგრამ მჯერა, ტურნირის დაწყებამდე მწყობრში ჩადგომას მოასწრებს“.

ყველაფერში დამნაშავე კი „ემპოლის“ მცველი რიკარდ ვანილია, რომელიც ტოტის ეუხეშა და კოჭის ძვალი გაუტეხა. ივი დამწუხრებულია, რომ მეტოქეს ასეთი ტრავმა მიაყენა და მოიბოდიშა კიდეც. სპალეტის თქმით, ტოტის ვანილიზე ცუდი არაფერი დასცდენია, პირიქით, დაუმშვიდებია კიდეც ივი. „რომას“ სიმბოლოს, ცხადია, გვერდში უდგანან თანაგუნდელებიც — ამიერიდან ტოტის „მტირალა ბავშვი“ და მსახიობი აღარაჯინ დაუძახოს, ტრავმიანიც თამაშობდა გუნდის საკეთილდღეოდ და ისედაც ხომ სულ ფეხებში ურტყამენო.

„ჩვენთვის ეს დიდი დანაკლისია, თანაც კვირას „ლაციოსთან“ პრინციპული მატჩი გველის, მაგრამ იმედი მაქვს, შეეძლებთ სასურველ დონეზე თამაშს თუნდაც ისეთი ფეხბურთელის გარეშე, როგორიც ტოტია. გადამწყვეტი სიტყვა კი გულშემატკივრებმა უნდა თქვან. ახლა მათი დახმარება ძალიან გვჭირდება და მჯერა, იმედს არ გაგვიცრუებენ“ — დასძინა სპალეტიმ.

გიორგი კაკაბაძე

ბალაკი სამი იარაღიდან ისვრის

ორივე ფეხი, ჭკვიანი თავი და სამაგალითო გოლეული

ფეხბურთში ბევრ რამეს ითვლიან, ცხადია — გოლებსაც. უფრო სწორად კი, პირველ რიგში გოლებს და მერე ყველაფერ დანარჩენს.

აი, მიუნხენელებს დაუთვლიათ, რომ ნახევარმცველებს შორის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე მიხაელ ბალაკია. ბალაკი უძლიერესად ურტყამს ორივე ფეხით, თავით კი მართლაც, შესაშურად თამაშობს.

1998-2005 წლებში ბალაკმა ბუნდესლიგაში 61 გოლი გაიტანა, რითაც სხვა განთქმულ ნახევარმცველებს, ზინედინ ზიდანსა და დეივიდ ბექემს გვარიანად გაუსწრო. ამავე პერიოდში ფრანგს 46 გოლი დაუგროვდა, ინგლისელს — 45. უკეთესი შედეგი აქვთ ფიგუსა და რონალდინიოს: პორტუგალიელმა 52, ბრაზილიელმა კი 54 გოლი გაიტანა.

ერთი სიტყვით, მიხაელ ბალაკი აშკარა ლიდერია და მისი ლიდერობა არა მხოლოდ კლუბზე, სანაკრებო ფეხბურთზეც ვრცელდება. ბალაკს 61 სანაკრებო შეხვედრაში 29 გოლი აქვს გატანილი. და ისევ შედარება: ბექემს 80 შეხვედრაში 16 გოლი გაუტანია, ფიგუმ კი, მართალია 30 გაიტანა, მაგრამ 100 შეხვედრაში. ერთადერთი რონალდინიო ჯობნის ბალაკს: 29 გოლი 59 მატჩში.

ბოლოს კი ისევ შეგახსენებთ, რომ ლაპარაკი იყო ბომბარდირ ნახევარმცველებზე.

ირაკლი ნინიძე

დრამატული დადგმა

ალან სმიტი წარმოგიდგენთ ვაჟკაცობას

შაბათს „ენფილდზე“ ფეხმოტეხილ ალან სმიტს კვირას ოპერაცია გაუკეთეს, 24 წლის სმიტს ალბათ ერთწლიანი უქმობა მოუწევს.

„ლივერპულ“ — „მანჩესტერის“ სათასო მატჩის ბოლო წამებზე სმიტი იონ არნე რიისეს დარტყმულ ჯარიმას გადაეფარა და ფეხი უხერხულად დადგა, რაც დრამატული გამოდგა. ეს იყო იშვიათი მასშტაბის ტრავმა, სმიტს ფეხი განადგურებული აქვს მუხლიდან კოჭამდე.

ახლა სტრესიდან გამოსული სმიტი უკვე ხუმრობს თავისი ფეხის გამო, ხოლო როცა მოედნიდან საკაცით გაჰყავდათ, მხოლოდ ორივე გუნდის ფანების ტაში ჩაესმოდა.

ირაკლი გამყრელიძე

სად იტო�აშებს როსიცკი?

ტომაშ როსიცკის ჯერ არ გადაუწყვეტია, რომელი გუნდის მაისურას მოირგებს ზაფხულში, მაგრამ ერთი კი ნაღდია — დორტმუნდის „ბორუსიადან“ აუცილებლად წავა.

ცოტა ხნის წინ ამბობდნენ, მადრიდის „ატლეტიკო“ გერმანულ კლუბს ჩეხი ნახევარმცველის ტრანსფერზე უკვე მოურიგდაო. თავად როსიცკი ბრძანდებოდა მადრიდში აგენტთან ერთად, რომელმაც თქვა, მოლაპარაკება კარგად მიდისო, თუმც: „ორი ვარიანტი მაქვს — განაცხადა ჩეხმა — ესპანური და ინგლისი. ისიც ვიცი, რომ „ატლეტიკოდან“ დორტმუნდში აუცილებლად ჩამოვლენ ტრანსფერის მოსაგვარებლად. ლონდონის „არსენალიდანაც“ დამიკავშირდნენ და ორივე გუნდს სურს ჩემი წაყვანა. მე არ ეჭვრობ. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე, ან მისი დასრულების შემდეგ გადავწყვეტ, სად გავაგრძელებ კარიერას. დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, რომ მომავალ სეზონში დორტმუნდის „ბორუსიას“ ფეხბურთელი აღარ ვიქნები“.

იხუნლიგნე!

ხენტომ სისინიო ქებით გააწითლა

მადრიდის „რეალის“ ძველ ლეგენდას, ფრანსისკო ექტორ ხენტოს და კლუბის ახლანდელ ბრაზილიელ ლეგიონერ სისინიოს ერთმანეთისგან მთელი ეპოქა აშორებთ, თუმც მათ შორის მსგავსებაც ბევრია — სისწრაფე, ბრძოლისუნარიანობა და ზუსტი პასი. ლონდონის „არსენალთან“ საჩემპიონთალიგო ჯახის წინ „რეალის“ ძველ და ახალ 11 ნომრებს ესპანური „ასი“ გაესაუბრა. უფრო სწორად, ხენტომ და სისინიომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჟურნალისტთა თანდასწრებით ისაუბრეს. „არსენალთან“ საქმე „ბერნაბეუზე“ უნდა მოვამთავროთ, კარგი იქნება, თუ საპასუხო მატჩისთვის ინგლისელებს შანსებს აღარ დავუტოვებთ“ — უთხრა ახალგაზრდა მადრიდელმა მხცოვანს.

ხენტო: სისინიო, ძალიან მინდოდა შენი გაცნობა. საოცრად თამაშობ, მერწმუნე, მადრიდის „რეალში“ დიდი ხნით დარჩები.

სისინიო: ჩემთვის თქვენთან შეხვედრა დიდი პატივია. ბრაზილიაში ფრანსისკო ხენტოს ალფრედო დი სტეფანოს დონეზე აყენებენ. ამბობენ, რომ ხალხი სტადიონზე ბრწყინვალე მეთერთმეტე ნომრის სანახავად მოდიოდა...

„რეალის“ ყოფილი და დღევანდელი მოთამაშეები ერთმანეთს სამეფო გუნდის გასახდელში ელაპარაკებიან. იქვე „ასის“ სპეცრეპორტაჟისთვის საგანგებოდ მოტანილი ძველი ბუცები და სხვა ეკიპირება აწყვია, რომლებიც თავის დროზე პაკო ხენტოს და დი სტეფანოს ეკუთვნოდათ. სისინიოს ყურადღება ბუცებმა მიიპყრო.

ხენტო: დი სტეფანო ბოლოს რომ გამოვიდა მინდორზე, ეს ბუცები ეცვა... ცოტა ხნის წინ ესენი მუზეუმშიც გამოფინეს.

სისინიო: ახლანდელისგან ძალიან განსხვავდება, შეხედეთ ქუსლებზე, ერთიანად რკინაა!

ხენტო: ეს კიდევ არაფერი. აბა, ახლა ბურთს დააკვირდი — თასმებიანია. როცა წვიმა მოდიოდა, საშინლად იყლინთებოდა და უსაშველოდ დამძიმებულს მიწას ვერ ვაცილებდით. ახლანდელ ბურთებს რომ ვუყურებ, ვხვდები, თამაშის დროს რა წვალება გვიხდებოდა.

„ასი“ ხენტოს მასსა და სისინიოს შორის მსგავსება-განსხვავებაზე ეკითხება.

ხენტო: მე სისინიოზე სწრაფი ვიყავი და ჩემს თამაშს რობერტო კარლოსისას უფრო შევადარებ. აი, სისინიოს პასი ჩემსაზე უკეთესია. ეს ბიჭი თამაშს ძალიან კარგად ხედავს.

სისინიო: ახლა „რეალში“ ჩემი კარგი ბურთაობა დევიდ ბექემთან შეთანხმებული მოქმედების შედეგია. ინგლისელი ძალიან მეხმარება. რაც დრო გადის, ერთმანეთს უკეთესად ვუგებთ. ანუ, ჩემი წარმატება გარკვეულწილად მისი დამსახურებაა.

ხენტო: შენ ეს ყველაფერი უნდა გამოიყენო. მე რიალი მედგა მხარში. ოღონდ, თქვენგან განსხვავებით, მოედანზე ერთმანეთს პოზიციებს არ ვუცვლიდით ხოლმე — რიალს თავისი ზონა ჰქონდა, მე — ჩემი. როგორ ხვდები, იერიშზე როდის უნდა გადახვიდე?

სისინიო: გუნდურ მოქმედებას ვაკვირდები — ხან საჯარიმოში დგომა და მეტოქის დაჭერაა საჭირო, ხანაც გარისკვა და შეტევა. თანაგუნდელთა მოედნის კარგი ხედვაც მეხმარება და ღვთის წყალობით, გოლებიც მოდის...

ხენტო: მცველი, რომელიც მეტოქის კარის დალაშქვრაზეა გადარეული... მინდა, გითხრა, რომ ეგ შენი „საგოლე ხულიგნობა“ ძალიან მახარებს...

სისინიო: რა ვქნა, ამის დამალვა არ შემიძლია. თამაშის დროს სულ გოლის გატანაზე ვფიქრობ. იცით, მე რონალდოსავით თამაში „ბოტაფოგოში“ დავიწყე და იქ თავიდან ფორვარდი ვიყავი.

ხენტო: როცა რონალდო ფორმაშია, თავისი სისწრაფითა და გოლის ალღოთი მსოფლიოს ყველა მოიერიშეს სჯობს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა გოლები არ გააქვს, მოედანზე გუნდისთვის უაღრესად საჭირო ფეხბურთელია. რონი უდავოდ მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელია.

სისინიო: მე რობინიოს უეცარმა პროგრესმაც გამაოცა. ვხედავ, ახლა მას ფეხბურთი ისეთივე ბედნიერებას ანიჭებს, როგორც ადრე ბრაზილიაში.

ხენტო: რობინიო დიდი ფეხბურთელი გახდება. შესანიშნავი მონაცემები აქვს და თან მეგოლეცაა. იგი მადრიდის „რეალის“ ისტორიაში თავის სიტყვას იტყვის. რობინიოსთანა მობურთალი დიდი იშვიათობაა. ბოლო დროს „რეალში“ მსგავსი ოსტატები ზიდანი და რონალდო მოვიდნენ, ასევე შენც. შენ შეგიძლია, ერთ-ერთი საუკეთესო გახდე. არ ვიცოდი, თუ ასეთი ტექნიკა გქონდა. სისულელეა, შენზე, როგორც მარტო მცველზე, ისე ლაპარაკი. ერთ დღეს იქნება, რაღაც საოცარ გოლს შეაგდებ...

ხენტოს და მისი ქებით დამორცხვებულ სისინიოს გასახდელიდან გამოსვლისას მშვენიერი სიურპრიზი დახვდათ — ჩემპიონთა თასი. ჯილდოს ხელი მოჰკიდეს და ლაპარაკ-ლაპარაკით შეიტანეს მოედანზე.

ხენტო: როგორ შეიცვალა აქ ყველაფერი! ჩემ დროს გუნდები ერთმანეთისგან არ ვიყოფოდით. გასახდელის გვირაბიდან მოედანზე მეტოქეები ერთად გამოვდიოდით. თან, გინდ დაიჯერე, გინდ არა, მოწინააღმდეგეები ერთმანეთს მუჯლუგუნებსაც არ ვაკლებდით...

უკვე მინდორზე არიან. ხენტო ცარიელ „ბერნაბეუს“ ათვალიერებს და ღრმად სუნთქავს, ეტყობა, მის გონებაში სამეფო გუნდის დიდი წარსული ცოცხლდება.

ხენტო: ექვსჯერ ჩემპიონთა თასი მოვიგე, ესპანეთის ჩემპიონი კი თორმეტჯერ გავხდი. გადასარევი თანაგუნდელები მყავდა. მათგან ბევრი რამ ვისწავლე. 19 წლის ვიყავი, „ბერნაბეუზე“ რომ მოვედი. ნელ-ნელა ვიწრთობოდი, ჩემი ოსტატები პუშკაში, დი სტეფანო და რიალი იყვნენ. წარმოიდგინე, ახალგაზრდა ბიჭი უცებ „რეალში“ ხვდება და მსოფლიო დონის მობურთალებს უყურებს! კურდღელივით შეშინებული ვიყავი. წელიწადნახევარი დამჭირდა ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად.

სისინიო: მიფხრეს, რომ თქვენ 18 სეზონი ითამაშეთ. დროთა განმავლობაში სისწრაფე არ დაგიკარგავთ?

ხენტო: დავკარგე, თუმცა, საბედნიეროდ, ნელ-ნელა. 38-ის ვიყავი, როცა ფეხბურთს ჩამოვშორდი და „ვალენსიას“ და „ესპანიოლს“ ჩემ გამო მაინც დიდი ომი ჰქონდათ... კარგი, წარსულს მოვეშვათ, „არსენალთან“ მერვედფინალში რას აპირებთ? ხომ იცი, წაგება არ შეიძლება...

სისინიო: გამარჯვებულის ფსიქოლოგიით უნდა ვითამაშოთ. „არსენალთან“ საქმე „ბერნაბეუზე“ უნდა დავამთავროთ, კარგი იქნება, თუ მეორე რაუნდისთვის ინგლისელებს შანსებს აღარ დავუტოვებთ. დაცვაშიც ყურადღებით უნდა ვიყოთ. ჩვენს მეტოქეს შესანიშნავი ფორვარდები ჰყავს. უკანა ხაზზეც ძლიერები არიან. ხოლო ტიერი ანრი საერთოდ განსაკუთრებული მოვლენაა. მასთან დიდი სიფრთხილე გვმართებს.

ხენტო: ძველ დროსაც ასე იყო. ჩემპიონთა თასზე ორმატჩიანი რაუნდის საქმეს „ბერნაბეუზე“ ერთ თამაშში ვაგვარებდით. იცი, საევროტურნირო შეხვედრებისთვის როგორ ვემზადებოდით? ზუსტად ასეთივე მებრძოლი სულისკვეთებით, როგორიც თქვენ სამეფო თასზე „სარაგოსასთან“ აჩვენეთ. მოედანზე სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ომი ჩვენი გუნდის დევიზი იყო. ამგვარად მოვიგეთ ის 5 თასი ზედიზედ და ერთიც მერე... სამწუხაროდ, მებრძოლი სული ახლანდელ „რეალს“ იშვიათად ეტყობა.

სისინიო: მშვიდად იყავით. გვინდა, „რეალის“ წარსულს ჩემპიონთა ლიგის მოგებით ვცეთ პატივი. „რეალი“ ყოველთვის ფავორიტია და ეს მოედანზეც გამოჩნდება. ლიგაში გამარჯვება ძნელია, თუმცა ჩვენ რონალდო, ბექემი, რობინიო და ზიდანი გვყავს.

ხენტო: ბევრს არ მოსწონს „რეალის“ პრეზიდენტის პოლიტიკა, თუმცა მე თამამად ვიტყვი, რომ ფლორენტინო პერესი ისეთივე დიდია, როგორც სანტიაგო ბერნაბეუ. ფლორენტინომაც, დონ სანტიაგოს მსგავსად, გუნდი ძნელ დროს ჩაიბარა და უამრავი ჯილდო მოაგებინა.

სისინიო: გეთანხმებით. „რეალი“ იყო და რჩება დიდ გუნდად...

ხენტო: წარმატებებს გისურვებ. ეცადე, ფეხბურთით სიამოვნება მიიღო, იყო ბედნიერი და რასაც მოედანზე აკეთებ, იმან ბევრი ფული მოგიტანოს.

სისინიო: ჩემთვის ეს ბედნიერი დღე იყო, სენიორ ხენტო. „არსენალთანაც“ ისევე ვიომებთ, როგორც „სარაგოსასთან“ და გამარჯვებულებიც ჩვენ ვიქნებით.

წავალ და დაგეკარგები

ბაჭია რონიმ ეშვები გამოაჩინა

ამასაც მოვესწარით: ბრაზილიელმა ვარსკვლავმა, ფენომენად წოდებულმა რონალდომ სეზონის ბოლოს მადრიდიდან წასვლაზე ჩამოაგდო სიტყვა. თურმე ნუ იტყვით და, მას „სანტიაგო ბერნაბეუ“ მხარს არაფუ აღარ უჭერს, არც არასდროს უჭერდა.

„ამ სტადიონზე თავი შინ არასდროს მიგრძვნია. ხალხს ჩემ მიმართ სითბო არასდროს გამოუმჟღავნებია. მათ მე არ მიმიღეს — განაცხადა პრესკონფერენციაზე მსოფლიოს სამგზის საუკეთესო ფეხბურთელმა — არადა, როდესაც მომავალზე ვფიქრობ, გადამწყვეტ მნიშვნელობას სწორედ ქომაგების რეაქციასა და დამოკიდებულებას ვანიჭებ. ადრეც სულ ამას ვიმეორებდი, სადაც არ ვუყვარვარ, იქ ყოფნა თავადაც არ მინდამეთქი. ერთი სიტყვით, სეზონის დამთავრებას დაველოდები და რამეს გადავწყვეტ. „რეალისთვის“ უდიდესი ძალისხმევა გამიღია და ამიტომ არ მესმის, რატომ მეპყრობა გულშემატკივარი ასე ცუდად“.

რონალდო „რეალში“ 2002 წელს „ინტერიდან“ გადავიდა და კონტრაქტი 2008 წლამდე გააფორმა. მისი ტრანსფერი მადრიდელებს 35 მილიონი ევრო დაუჯდათ, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე 2008 წლამდე აღარ მივა და მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ „ბაჭია“ „სამეფო კლუბს“ გაეყრება.

ამ უქმეებზე „რეალმა“ „ალავესს“ 3:0 მოუგო, მაგრამ მაყურებელმა რონის მაინც უსტვინა.

„ბევრჯერ მიფიქრია და უამრავ ადამიანთან მილაპარაკია კიდეც, მაგრამ ვერავინ მიმხვდარა, რატომ არ იჩენს ხალხი ჩემ მიმართ მოთმინებას. საკმარისია, პატარა რამ შემეშალოს, რომ ხალხი მისტვენს. ახლაც არ ვიცი, ჩემს ამ განცხადებას როგორ შეხვდებიან ქომაგები, მაგრამ მართალი რომ გითხრათ, არც მაინტერესებს“

პაპუნა კედია

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები. დღეს

ბაიერნი (გერმანია) – მილანი (იტალია)

ბაიერნის კანი ტუზია

მაგათმა ექიმს ჯადოქრის დიპლომი მოსთხოვა

ბარძაყნატკენმა ოლივერ კანმა შესაძლოა ვერ ითამაშოს

კანი დაშავდა და „ბაიერნის“ ექიმებს მის გამოსაჯანმრთელებლად ტყეში გაძვრომა დეკალათ — მუნხენელთა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა სასწაულის ჩადენა სთხოვა. მოსთხოვა — შეფს სურს, კაპიტანი და გოლკიპერი დღესვე ჯანმრთელად იხილოს.

მუნხენელთა მეკარემ ბარძაყი შაბათს „ჰანოვერთან“ 1:1-ის დროს ისე იტკინა, რომ „მილანთან“ თამაში სათუო გაუხდა, რამაც, თავის მხრივ, საერთო ბავარიული განწყობა ძლიან ხელყო. განწყობა კი ასეთია: „ბაიერნი“ „მილანთან“ წყვილში თავს მეორე ნომრად სულაც არ განიხილავს. ამბობენ, საკუთარ ძალთა ასეთი რწმენა გერმანულ კლუბს ზოგადი სიძლიერის გარდა მიმდინარე ლიგის პირველ ეტაპზე შინ „იუვენტუსთან“ 2:1 მოგებამაც შთაუნერგავ, ოღონდ ეგ არის, ვინ ვინ და, მაგათმა კარგად იცის კანის გარეშე მისი გუნდის სხეული სხვანაირი რომ არის.

„მართალია, კანს ტრავმის ღამეს მდგომარეობა გაუუარესდა, მაგრამ ჩვენი ექიმების ამბავი კარგად ვიცი და მეიმედება“ — თქვა მწვრთნელმა, თავად ვეტერანმა მეკარემ კი ასე ბრძანა:

„ძალიან მტკივა. დავიცადოთ.“

და ვინ უნდა შეცვალოს ბოლო თვენახევრის განმავლობაში საუცხოოდ მოთამაშე კანი? 21-წლამდელმა მიხაელ რენსინგმა, რომელიც „ჰანოვერთან“ შეხვედრაში დაშავებული კაპიტნის მაგივრად მოედანზე შევიდა თუ არა, ხუთ წუთში გოლი გაუშვა. აქ, ჩვენი მხრივ, ნება მოგვეცით, ეჭვი გამოვთქვათ, რომ „მილანის“ ფორვარდები ჰანოვერელ კოლეგებს სვლობიან, თუმცა შავ-წითელი კლარენს ზეედორფი მაინც და მაინც არ გვეთანხმება:

„კანის არყოფნა ბევრს არაფერს ცვლის, „ბაიერნი“ მაინც უმაღლესი დონის გუნდად რჩება. მე თუ მკითხავთ, მიუნხენელები ჩვენთან კანის გარეშეც ფავორიტები არიან. ისინი ბუნდესლიგაში გაცილებით უკეთ გამოდიან, ვიდრე ჩვენ სერია A-ში.“

მართლაც, ბავარიელები მეოცე გერმანულ ტიტულთან ახლოს არიან და, კაცმა რომ თქვას, დღესაც „მილანის“ წინააღმდეგ, კანის არყოფნას თუ არ ჩავთვლით, სრულიად შემადგენლობით გავლენ. რაც შეეხება „მილანს“, ეს გუნდი ერთი ხნის წინ სკუდეტოსთვის მებრძოლთა შორის აღარ განიხილებოდა, მაგრამ ბოლო სამ თამაშში 10 გოლი გაიტანა და ერთადერთი გაუშვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო ხანს გაკრიტიკებული დაცვა მოუყოჩაღდა.

— დაცვაში ძველებურად კარგად ვთამაშობთ და მეკარე დიდამაც ღაიბრუნა ოდინდელი თვითრწმენა — განაცხადა პრესკონფერენციაზე შავ-წითლების მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ, რომელმაც ისიც დასძინა, რომ „ბაიერნთან“ შეხვედრისთვის შეიძლება იან სტაბიც გამოუჯანმრთელდეთ.

პაპუნა კედია

ბაიერნის ბოლო ათი მატჩი			VS	მილანის ბოლო ათი მატჩი		
ჰანოვერი — ბაიერნი	1:1	ბლ		მილანი — კალიარი	1:0	სA
ბაიერნი — ნიურნბერგი	2:1	ბლ		რეჯინა — მილანი	1:4	სA
ჰერტა — ბაიერნი	0:0	ბლ		მილანი — ტრევიზო	5:0	სA
ბაიერნი — ლევერკუზენი	1:0	ბლ		ლაციო — მილანი	0:0	სA
გლადბახი — ბაიერნი	1:3	ბლ		პალერმო — მილანი	3:0	ით
ბაიერნი — მაინცი	1:1	გთ		მილანი — სამპდორია	1:1	სA
ბაიერნი — ჰამბურგი	0:0	გთ		მილანი — პალერმო	1:0	ით
დორტმუნდი — ბაიერნი	1:2	ბლ		სიენა — მილანი	0:3	სA
ბაიერნი — ლაუტერნი	2:1	ბლ		მილანი — ასკოლი	1:0	სA
ბრიუგე — ბაიერნი	1:1	ჩლ		რომა — მილანი	1:0	სA

ბლ — ბუნდესლიგა, გთ — გერმანიის თასი, ჩლ — ჩემპიონთა ლიგა

სA — სერია A, ით — იტალიის თასი

პსვ (ჰოლანდია) – ლიონი (საფრანგეთი)

ოლამ პენალტი

ვერ გადაყლაპა

მახსოვს, იდაყვს რომ მირტყამდით

შარშან გაზაფხულზე, ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში პსვ-მ „ლიონს“ პენალტებით მოუგო. ორივე მატჩი 1:1 დასრულდა და თერთმეტი მეტრიდან დარტყმებში შეჯიბრი ეინდჰოვენში გაიმართა. მაშინ ფრანგთა მწვრთნელი პოლ ლე გუენი იყო. იგი გასულ ზაფხულს ჟერარ ულიემ შეცვალა, რომელმაც „ლიონი“, შეიძლება ითქვას, უფრო გააუმჯობესა. მართალია, გუნდის „ძრავა“ მიკაელ ესიენი „ჩელსიმ“ წაიყვანა, მაგრამ მისი შემცვლელი, დიარა, არანაკლებ ეფექტურია.

„ლიონმა“ იონ კარეუ და ბრაზილიელი ფორვარდი ფრედიც დაიმატა. ორივე კარგად მოერგო ულიეს გუნდს.

პსვ — ლიონი. შაშანდელი ორმატჩიანი დუელი ჰოლანდიელების გამარჯვებით დამთავრდა

ლიონელები საფრანგეთის ჩემპიონატში დიდი ნაბიჯებით მიიწევენ მიჯრით მეხუთე ოქროსკენ და მათ, ალბათ, ვერავინ შეაჩერებთ. ჩემპიონობა კარგია, თუმცა „ლიონს“ ევროფრონტზე მოგება სწყურია. ამიტომაცაა, რომ მესამე სეზონია, ჩემპიონთა თასისკენ მიიწევს. ერთი წლის წინ პსვ-მ გზა მეოთხედფინალში გადაულობა, ახლა კი ეს გუნდები მერვედფინალში შეხვდნენ.

მათი შარშანდელი ეინდჰოვენური მატჩი დიდი უხეშობით გამოირჩა. „შარშან ეინდჰოვენში რომ მუჯლუგუნები მირტყეს, მაგდენი არსად მომხვედრია — გაიხსენა ფლორენ მალუდამ — სტადიონზე საშინელი ვითარება იყო“.

ფრანგული კლუბის პრეზიდენტმა, ჟან მიშელ ოლამ კი, ეინდჰოვენური შეხვედრის დამატებითი დრო გაიხსენა: „ნილმარის წაქცევისთვის პენალტი გვეკუთვნოდა, მაგრამ მსაჯი მასპინძლებს მიემხრო. ახლა ჩვენი ქომაგები რევანშს ითხოვენ, თუმცა ემოციებს არ უნდა ავყვეთ“.

„ლიონმა“ გასულ უქმეებზე საფრანგეთის ჩემპიონატში „ნანტი“ დამარცხა და ეინდჰოვენში გალალებული ჩავიდა, მაგრამ ნანტიდე ზეციზედ სამი თამაშის მოგება ვერ შეძლო.

ფრანგულმა კლუბმა ესიენი კი „დაკარგა“, თუმცა არანაკლები ღანაკლისი აქვს პსვ-ს. ჰოლანდიურმა გუნდმა გასულ ზაფხულს რამდენიმე ევროპული კლუბი მოამარაგა ფეხბურთელებით. „მარსელიონამ“ პსვ-ს „ჯიგარი“, მარკ ვან ბომელი წაიყვანა, „მილანმა“ — იოჰან ფოგელი, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ — ჟი სუნ პარკი, ხოლო „ტოტენჰემმა“ — ჰიო იონგ ლი. ჰიდინკმა წასულებს სრულფასოვანი შემცვლელები უპოვა. პსვ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშია და ჰოლანდიის ჩემპიონატში კვლავაც პირველობს. გუს ჰიდინკი კი ორ ადგილზე ასწრებს მუშაობას — კლუბის გარდა, მან ხომ ავსტრალიის ნაკრებიც ჩაიბარა და „ლეოებს“ გერმანიის საგზური მოაპოვებინა.

ლიონელმა მაჰამადუ დიარამ განაცხადა: „ოთხი ძლიერი ფეხბურთელის წასვლა არ ნიშნავს, რომ პსვ დასუსტდა. ჰიდინკი მეტად ნიჭიერი კაცია და უცბად შეძლო ახალი გუნდის შექმნა, რომლის ძლევაც იოლი არ იქნება“.

ვაჟა ხუციშვილი

პსვ-ს ბოლო ათი მატჩი			VS	ლიონის ბოლო ათი მატჩი		
ვიტესი — პსვ	1:3	ედ		ლიონი — ნანტი	3:1	პდ
პსვ — ჰერაკლესი	1:0	ედ		ლანსი — ლიონი	1:1	პდ
უტრეხტი — პსვ	1:2	ედ		ლიონი — ბორდო	0:0	პდ
პსვ — როდა	3:2	ედ		აიაჩო — ოსერი	1:1	სთ
გრონინგენი — პსვ	2:3	ჰთ		ლიონი — ოსერი	1:1	პდ
დენ ჰააგი — პსვ	0:2	ედ		ნანსი — ლიონი	0:2	პდ
პსვ — როდა	2:0	ედ		ლიონი — მარსელი	2:1	პდ
სპარტა — პსვ	0:1	ედ		გრენობლი — ლიონი	0:4	სთ
პსვ — ტვენტე	1:1	ედ		სტრასბური — ლიონი	0:4	პდ
ნაიმეგენი — პსვ	0:2	ედ		ლიონი — ლილი	1:3	პდ

ედ — ერედივიზიონი, ჰლ — ჰოლანდიის თასი

პდ — პირველი დივიზიონი, სთ — საფრანგეთის თასი



რეალი (ესპანეთი) – არსენალი (ინგლისი)

კარო ყავარჯენს ეძებს

შაფებზე რამე არ წამოგცდეთ

წინა სეზონში ბუქმეიქერები ჩემპიონთა ლიგაში „რეალის“ გამარჯვების შანსს უფრო მეტად აფასებდნენ, ვიდრე ახლა, თუმცა „რეალის“ ჩამოწერა რომ არ შეიძლება, ესეც ფაქტია.

ახლა კი ის ვთქვათ, თავად მადრიდელები რას ფიქრობენ „არსენალთან“ მატჩის წინ.

— ჩვენ შევძლებთ „არსენალის“ დამარცხებას. ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის და პრიმერადივიზიონის მოგებაა — თქვა „რეალის“ თილისმა-კაპიტანმა რაულმა, ვინაც მუხლის ტრავმის გამო სამი თვე ვერ თამაშობდა და ამ უქმეზე პირველად ითამაშა შეცვლაზე „ალავესის“ წინააღმდეგ.

გამარჯვების აუცილებლობა დევიდ ბექემმაც ახსენა, თუმცა თანამემამულეებზე, ალბათ წინდახედულების გამო, უფრო ფრთხილად ილაპარაკა: „ნებისმიერ გუნდს აქვს ჩავარდნის და აღმასვლის ეტაპები. ვფიქრობ, ჩავარდნა დასრულდა და ახლა, დღითი-დღე უკეთ და უკეთ ვითამაშებთ. ხოლო ის, რომ ჩვენი მომდევნო მეტოქე „არსენალია“, მოტივაციას გვმატებს. ლონდონელებს ბრწყინვალე მწვრთნელი და ფეხბურთელები ჰყავთ“.

ახლა, როცა „რეალს“ რაული დაუბრუნდა, ხუან რამონ ლოპეს კაროს განკარგულებაში უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. როგორც ამბობენ, მწვრთნელის დილემა ის არის, ოთხი მცველის წინ, საყრდენ ნახევარმცველად თომას გრავესენი ათამაშოს თუ კარლოს დიოგო. ლოპეს კაროს საყვარელი სქემა კი ასეთია: 4-1-4-1. ხოლო ის ერთი ფორვარდი რონალდო უნდა იყოს.

მადრიდელთა მწვრთნელმა საარსენალო 18-კაციან შემადგენლობაში არ შეიყვანა ივან ელგერა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ელგერა ტაქტიკური მოსაზრების გამო გუნდსმიღმა დარჩა. დაცვის ცენტრში, სავარაუდოდ, ჯონათან ვუდგეიტი და სერხიო რამოსი ითამაშებენ. „ვუდგეიტი და რამოსი ერთმანეთს კარგად უგებენ განაცხადა „რეალის“ თავკაცმა — „არსენალთან“ მატჩი ჩემს მოკლე სამწვრთნელო კარიერაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. მეტოქეს პატივს ვცემ, რადგან არსენ ვენგერის გუნდში დიდებული ფეხბურთელები თამაშობენ. ანრიზე რომ არაფერი ვთქვა, პირესი და ლუნგბერგი ძალიან სახიფათონი არიან. ჩვენ ფავორიტებად გვთვლიან, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. თუნდაც „სარაგოსასთან“ მატჩი გავიხსენოთ — ვინ იფიქრებად, რომ 1:6-ს წავაგებდით? ჩვენ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ განსაკუთრებით კარგად გამოვვდის თამაში, მაგრამ არც „არსენალია“ ჯაბანი. უდიდესი ყურადღება გვმართებს. ერთშა შეცდომამ შეიძლება მეოთხედფინალისკენ გზა მოგვიჭრას“.

ლოპეს კაროს ისიც ჰკითხეს, მადრიდული, შემდეგ კი ლონდონური მატჩი როგორ დამთავრდებაო, რაზეც მწვრთნელმა სიცილით მიუგო, ორივე შეხვედრის დასრულების შემდეგ მკითხეთ და ზუსტად მოგახსენებთო.

საწუხარი და საფიქრალი არსენ ვენგერს გაცილებით მეტი აქვს. ლონდონელთა უმთავრესი პრობლემა კი დაცვაა. სოლ კემბელი და ეშლი კოული, სავარაუდოდ, არ ითამაშებენ, თუმცა ვენგერი იხტიბარს არ იტეხს — ამათ გარეშეც სოლიდური დაცვა მყავსო.

— მე მჯერა ჩემი ახალგაზრდა ფეხბურთელების მენტალური სიმტკიცის და გამარჯვების კენ სწრაფვისა — თქვა ვენგერმა.

უეფამ კი გამაფრთხილებელი განცხადება გააკეთა: მადრიდელ გულშემატკივართა ნაწილი რასისტულ მისწრაფებაშია შენიშნული და ვურჩევთ ჭკვიანად იყვნენ.

უეფა, მოგეხსენებთ, მუქარის აძრულებელია, „არსენალში“ კი შავკანიანი ფეხბურთელები ბლომად არიან.

რეალის ბოლო ათი მატჩი			VS	არსენალის ბოლო ათი მატჩი		
რეალი — ალავესი	3:0	პდ		ლივერპული — არსენალი	1:0	პლ
რეალი — სარაგოსა	4:0	ეთ		არსენალი — ბოლტონი	1:1	პლ
ბილბაო — რეალი	0:2	პდ		ბირმინგემი — არსენალი	0:2	პლ
სარაგოსა — რეალი	6:1	ეთ		არსენალი — ვესტ ჰემი	2:3	პლ
რეალი — ესპანიოლი	4:0	პდ		ბოლტონი — არსენალი	1:0	ათ
სელტა — რეალი	1:2	პდ		არსენალი — უიგანი	1:0	ლთ
რეალი — ბეტისი	1:0	ეთ		ევერტონი — არსენალი	1:0	პლ
რეალი — კადისი	3:1	პდ		არსენალი — მიდლსბრო	7:0	პლ
ბეტისი — რეალი	0:1	პდ		უიგანი — არსენალი	1:0	ლთ
რეალი — სევილია	4:2	პდ		არსენალი — კარდიფი	2:1	პლ

ეთ — ესპანეთის თასი
პდ — პრიმერადივიზიონი

პლ— პრემიერლიგა, ათ — ასოციაციის თასი, ლთ — ლიგის თასი

ბენფიკა (პორტუგალია) – ლივერპული (ინგლისი)

ვინ არ უგებს მანჩესტერს

რომელმაც გამოიღვიძა და მარჯვენა ფეხზე ადგა

სიმაო საბროსა

რაფაელ ბენიტესი

„ლივერპული“ ტიტულის მფლობელია, თან ორიოდ დღის წინ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასზე, არც მეტი, არც ნაკლები, „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოუგო 1:0 და ჩინებულ გუნებაზეცაა. ჰოდა, რატომაც არ უნდა ერქვას ლისაბონში „ბენფიკას“ წინააღმდეგ სათამაშოდ ჩასულს ამ მერვედფინალური წყვილის ფავორიტი?!

რთული პერიოდის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც წითლებმა ზედიზედ სამი სტუმრობა წააგეს, „ლივერპულისთვის“ ზედიზედ სამი იღბლიანი თამაშის დრო დადგა. თან ამ სამ წარმატებაში შეივიდა „არსენალისა“ და ზემოხსენებული „იუნაიტედის“ ძლევაც, რაც სულ ერთ კვირაში დატრიალდა და რა გასაკვირია, მწვრთნელს, რაფა ბენიტესს გამარჯვების იმედი რომ ჩასახვია:

„გვეუბნებოდნენ, რომ ჩაგვეძინა და კრიზისი დაგვეწყო, რაზეც პასუხი სამი შესანიშნავი გამარჯვებით გავეცით და ახლა დარჩენილ სეზონს გამარჯვებათა რწმენით ვუყურებთ“.

იმედიანადაა „მანსესტერ იუნაიტედის“ კარში გოლის გამტანი პიტერ კროუჩიც, რომელიც ამობს, მე და ჩემს თანაგუნდელებს საუკეთესოთა დამარცხება რომ შეგვიძლია, ეს უკვე დამტკიცებულიაო.

„თუ გავითვალისწინებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ „არსენალის“ დამარცხებიდან რამდენიმე დღეში მოვუგეთ, ყველა მიზეზი გვაქვს საიმისოდ, რათა მომავალში სხვა გამარჯვებათა მიწყობაზეც ვიფიქროთ. ფაქტია, სეზონის ბოლომდე ბევრი საინტერესო რამ გველის, ჩვენ ხომ სამ უმთავრეს შეჯიბრებაში ჯერ კიდევ ვმონაწილეობთ“.

კიდევ, ლივერპულელებს იმედს მეტოქის ბოლოდროინდელი შედეგებიც უნდა უსახავდეს. კერძოდ, „ბენფიკამ“ ბოლო ტურში სუსტ „გიმარაეშთან“ 0:2 წააგო, რაც ბოლო ხუთ მატჩში მესამე დამარცხება გახლდათ. ლისაბონელთა თავკაცს, ჰოლანდიელ რონალდ კუმანს თავდამსხმელთა კრიზისი აქვს, ვერც იტალიელ ფაბრიციო მიჯოლის ათამაშებს და ვერც ფერნუ ლორენ რობერს, რომელსაც, სხვათა შორის, პრემიერლიგაში ჭიპი მოუჭრია.

„საქმეები მთლად კარგად მართლა არც მე მიმდის და არც გუნდს, მაგრამ არ ვიჩქარებ. პორტუგალიური ფეხბურთი ინგლისურისგან ფრიად განსხვავდება და ამას შეგუება სჭირდება. „ლივერპულთან“ თამაში საგანგებო რამ არის, თუ მოვიგებთ, ქომაგები დიდ ზეიმს მოგვიწყობენ. ფავორიტი, რასაკვირველია „ლივერპულია“, მას ხომ ისეთი კარსკვლავები ჰყავს, სტივენ ჯერარდი, ჯიბრილ სისე და ფერნანდო მორიენტესი რომ არიან, თუმცა საქმე არც უიმედოდაა, რადგან „ბენფიკას“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჰყავს გაგდებული და რატომაც არ უნდა გაიმეოროს დაახლოებით იგივე?“ — თქვა რობერმა.

პაპუნა კედია

ბენფიკას ბოლო ათი მატჩი			VS	ლივერპულის ბოლო ათი მატჩი		
გიმარაეში — ბენფიკა	2:0	სლ		ლივერპული — მანჩესტერი	1:0	ათ
ბენფიკა — პენაფიელი	4:0	სლ		ლივერპული — არსენალი	1:0	პლ
ბენფიკა — ნასიონალი	0:0	პთ		უიგანი — ლივერპული	0:1	პლ
ლეირია — ბენფიკა	3:1	სლ		ჩარლტონი — ლივერპული	2:0	პლ
ბენფიკა — სპორტინგი	1:3	სლ		ჩელსი — ლივერპული	2:0	პლ
ჟილ ვისენტე — ბენფიკა	1:3	სლ		ლივერპული — ბირმინგემი	1:1	პლ
ბენფიკა — აკადემიკა	3:0	სლ		პორტსმუთი — ლივერპული	1:2	ათ
ტურისენსე — ბენფიკა	0:2	პთ		მანჩესტერი — ლივერპული	1:0	პლ
ბენფიკა — ფერეირა	2:0	სლ		ლივერპული — ტოტენჰემი	1:0	პლ
სეტუბალი — ბენფიკა	0:1	სლ		ლუთონი — ლივერპული	3:5	ათ

სლ — პორტუგალიის სუპერლიგა,
პთ — პორტუგალიის თასი

პლ — პრემიერლიგა,
ათ — ასოციაციის თასი

სარბიელი ⅝ კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. პრემიერლიგა

22 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	1	ნიუკასლი-ჩარლტონი	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77

ინგლისი

კონფერენსი

21 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	49	უოკინგი-ექსეტერი	2.25	3.30	2.80	1.33	1.24	1.51
23:45	50	გრეისი-დაგ ენდ რედი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
23:45	51	ბარტონი-კემბრიჯი	1.75	3.40	4.20	1.15	1.23	1.87
23:45	52	იორკი-ტემუორთი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
23:45	53	სტივენეიჯი-კონვი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
23:45	54	ალტრინჰემი-ჰალიფაქსი	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1:38
23:45	55	ჰერეფორდი-ალდერშოტი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
23:45	56	კიდერმინსტერი-ქროული	1.80	3.40	3.75	1.17	1.21	1.78
23:45	57	ფორესტ გრინი-გრეივსენდი	2.30	3.30	2.70	1.35	1.24	1.48

გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)

21 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:30	108	მიუნხენი1860(მ)-აუგსბურგი	3.70	3.30	1.75	1.74	1.18	1.14

ესპანეთი

I დივიზიონი

25 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	188	სარაგოსა-ბარსელონა	4.10	3.20	1.85	1.79	1.27	1.17

26 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	184	ოსასუნა-დეპორტივო	2.25	3.10	3.10	1.30	1.30	1.54
20:00	185	მალიორკა-რეალი	5.70	3.80	1.50	2.27	1.18	1.07
20:00	187	ვალენსია-ხეტაფე	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
20:00	190	სელტა-კადისი	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
20:00	191	ბეტისი-სოსიედადი	2.00	3.10	3.65	1.21	1.29	1.67
20:00	192	ალავესი-რასინგი	2.25	3.10	3.10	1.30	1.30	1.54
20:00	193	ბილბაო-ვილიარეალი	2.50	3.00	2.75	1.36	1.30	1.43
20:00	194	ატლეტიკო-მალაგა	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
20:00	195	ესპანიოლი-სევილია	2.50	3.00	2.70	1.36	1.29	1.42

ბელგია. I დივიზიონი

21 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:30	554	რუზელარე-შარლერუა	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50

22 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:30	555	ბრიუსელი-ვესტერლო	2.25	3.10	2.80	1.30	1.24	1.47
23:30	556	სტანდარდი-ლუვიე	1.25	4.90	8.00	1.00	1.08	3.03

ჩემპიონთა ლიგა

21 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	356	ბაიერნი-მილანი	2.30	3.10	3.00	1.32	1.30	1.52
23:45	357	ბენფიკა-ლივერპული	2.90	3.00	2.45	1.47	1.32	1.34
23:45	358	პსვ-ლიონი	2.45	3.00	2.85	1.34	1.31	1.46
23:45	359	რეალი-არსენალი	1.70	3.30	5.00	1.12	1.26	1.98

22 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	360	რეინჯერსი-ვილიარეალი	2.65	3.10	2.55	1.42	1.29	1.39
23:45	361	ვერდერი-იუვენტუსი	2.90	3.10	2.40	1.49	1.31	1.35
23:45	362	ჩელსი-ბარსელონა	2.15	3.10	3.30	1.26	1.30	1.59
23:45	363	აიაქსი-ინტერი	2.95	3.10	2.35	1.51	1.30	1.33

უეფას თასი

23 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	364	პალერმო-სლავია	1.50	3.80	5.80	1.07	1.19	2.29
19:15	365	რაპიდი(ბ)-ჰერტა	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
20:00	366	ლევსკი-პეტრუალკა	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
21:00	367	ზენიტი-რუსენბორგი	1.65	3.40	4.65	1.11	1.21	1.96
21:00	368	სტიაუა-ჰერენვენი	1.65	3.40	4.60	1.11	1.21	1.95
21:00	369	შახტარი-ლილი	1.90	3.20	3.65	1.19	1.24	1.70
21:30	370	ჰამბურგი-თუნი	1.35	4.30	7.50	1.02	1.14	2.73
22:00	371	სტრასბური-ლიტექსი	1.56	3.50	5.30	1.07	1.20	2.10
23:45	372	ლანსი-უდინეზე	1.85	3.20	3.70	1.17	1.23	1.71
23:45	373	მიდლსბრო-შტუტგარტი	1.90	3.20	3.65	1.19	1.24	1.70
23:45	374	მონაკო-ბაზელი	1.57	3.40	5.50	1.07	1.22	2.10
23:45	375	მარსელი-ბოლტონი	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
23:45	376	ალკმაარი-ბეტისი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
23:45	377	რომა-ბრიუგე	1.37	4.10	7.00	1.02	1.14	2.58
23:45	378	სევილია-ლოკომოტივი(მ)	1.57	3.40	5.30	1.07	1.21	2.07
23:45	379	ესპანიოლი-შალკე	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46

ინგლისი

LDV Vans Trophy

21 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	396	კარლაილი-მაკსფილდი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05

ჰოკეი.კაცები

ოლიმპიადა 2006

21 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15:30	513	იტალია-შვეიცარია	4.00	4.30	1.35	2.07	1.00	1.02
18:30	514	ფინეთი-გერმანია	1.25	4.40	4.80	1.00	1.00	2.29
19:30	515	კანადა-ჩეხეთი	1.85	4.20	2.45	1.28	1.05	1.54
14:30	557	ლატვია-ყაზახეთი	2.00	3.90	2.55	1.32	1.12	1.54
22:00	558	შვედეთი-სლოვაკეთი	2.05	4.10	2.35	1.36	1.09	1.49
23:30	559	რუსეთი-აშშ	1.50	4.40	3.00	1.11	1.00	1.78

ჩოგბურთი.კაცები.როტერდამი

21 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
14:00	540	ფერერი დ-მინარი ი	1.20		3.80			
14:00	541	როხუსი ო-მელზერი	1.50		2.35			
14:00	544	ანჩიჩი-ნიემინენი ი	1.50		2.35			
14:00	545	მატი-სანტორო	1.85		1.65			
14:00	546	იოჰანსონი ტ-ჰენმენი	1.60		1.95			
14:00	550	როხუსი კ-ლისნარდი	1.65		1.95			
14:00	551	შტეპანეკი-ლამერი	1.15		4.50			
14:00	552	სეპი-ჯოკოვიჩი	1.90		1.65			
14:00	553	ანდრეევი-ბრაჩიალი	1.30		2.90			

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	ნიუკასლი-ჩარლტონი	2.20	2.00	4.20	1.04	1.44	1.35
10356	ბაიერნი-მილანი	2.65	2.00	3.50	1.13	1.50	1.27
10357	ბენფიკა-ლივერპული	3.30	2.00	2.80	1.24	1.51	1.16
10358	პსვ-ლიონი	2.75	2.00	3.20	1.15	1.47	1.23
10359	რეალი-არსენალი	2.15	2.00	4.50	1.03	1.45	1.38
10360	რეინჯერსი-ვილიარეალი	3.20	2.00	2.90	1.23	1.52	1.18
10361	ვერდერი-იუვენტუსი	3.35	2.00	2.75	1.25	1.51	1.15
10362	ჩელსი-ბარსელონა	2.40	2.00	3.50	1.09	1.42	1.27
10363	აიაქსი-ინტერი	3.20	2.00	2.65	1.23	1.44	1.13

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001	ნიუკასლი-ჩარლტონი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.50
11356	ბაიერნი-მილანი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11357	ბენფიკა-ლივერპული	4.30	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.40
11358	პსვ-ლიონი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11359	რეალი-არსენალი	2.50	10.00	20.00	3.50	4.60	6.50	20.00	10.00	5.00
11360	რეინჯერსი-ვილიარეალი	3.80	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11361	ვერდერი-იუვენტუსი	4.10	10.00	20.00	5.00	4.40	4.50	20.00	10.00	3.40
11362	ჩელსი-ბარსელონა	3.10	10.00	20.00	4.00	4.40	5.00	20.00	10.00	4.80
11363	აიაქსი-ინტერი	4.20	10.00	20.00	4.80	4.40	4.60	20.00	10.00	3.50

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12001	ნიუკასლი-ჩარლტონი	1.70	1.90
12356	ბაიერნი-მილანი	1.60	2.10
12357	ბენფიკა-ლივერპული	1.55	2.20
12358	პსვ-ლიონი	1.60	2.00
12359	რეალი-არსენალი	1.90	1.70
12360	რეინჯერსი-ვილიარეალი	1.55	2.10
12361	ვერდერი-იუვენტუსი	1.90	1.70
12362	ჩელსი-ბარსელონა	1.70	1.90
12363	აიაქსი-ინტერი	1.60	2.10

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო) კი/არა)

13001	ნიუკასლი-ჩარლტონი	1.70	1.90
13356	ბაიერნი-მილანი	1.70	1.90
13357	ბენფიკა-ლივერპული	1.70	1.90
13358	პსვ-ლიონი	1.70	1.90
13359	რეალი-არსენალი	1.90	1.65
13360	რეინჯერსი-ვილიარეალი	1.70	1.90
13361	ვერდერი-იუვენტუსი	1.70	1.90
13362	ჩელსი-ბარსელონა	1.70	1.90
13363	აიაქსი-ინტერი	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესული დაბრუნდა ჩაითვლება)

14001	ნიუკასლი-ჩარლტონი	1.55	2.20
14356	ბაიერნი-მილანი	1.80	2.00
14357	ბენფიკა-ლივერპული	1.90	1.80
14358	პსვ-ლიონი	1.85	1.95
14359	რეალი-არსენალი	1.60	2.20
14360	რეინჯერსი-ვილიარეალი	1.90	1.90
14361	ვერდერი-იუვენტუსი	1.95	1.85
14362	ჩელსი-ბარსელონა	1.70	2.10
14363	აიაქსი-ინტერი	1.95	1.75

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	ნიუკასლი-ჩარლტონი	3.00	2.80	2.00
15356	ბაიერნი-მილანი	3.00	2.80	2.00
15357	ბენფიკა-ლივერპული	3.00	2.80	2.00
15358	პსვ-ლიონი	3.00	2.80	2.00
15359	რეალი-არსენალი	3.00	2.80	2.00
15360	რეინჯერსი-ვილიარეალი	3.00	2.80	2.00
15361	ვერდერი-იუვენტუსი	3.00	2.80	2.00
15362	ჩელსი-ბარსელონა	3.00	2.80	2.00
15363	აიაქსი-ინტერი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16001	ნიუკასლი-ჩარლტონი	1.30	2.60
16356	ბაიერნი-მილანი	1.50	2.10
16357	ბენფიკა-ლივერპული	1.90	1.60
16358	პსვ-ლიონი	1.60	1.90
16359	რეალი-არსენალი	1.25	3.00
16360	რეინჯერსი-ვილიარეალი	1.85	1.65
16361	ვერდერი-იუვენტუსი	1.90	1.60
16362	ჩელსი-ბარსელონა	1.45	2.10
16363	აიაქსი-ინტერი	1.90	1.60

გოლი:ჭვალი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ჭვალად)

17001	ნიუკასლი-ჩარლტონი	1.85	1.95
17356	ბაიერნი-მილანი	1.85	1.95
17357	ბენფიკა-ლივერპული	1.85	1.95
17358	პსვ-ლიონი	1.85	1.95
17359	რეალი-არსენალი	1.85	1.95
17360	რეინჯერსი-ვილიარეალი	1.85	1.95
17361	ვერდერი-იუვენტუსი	1.85	1.95
17362	ჩელსი-ბარსელონა	1.85	1.95
17363	აიაქსი-ინტერი	1.85	1.95

შემდეგ ეტაპზე გასვლა

18356	ბაიერნი-მილანი	2.00	1.60
18357	ბენფიკა-ლივერპული	2.90	1.30
18358	პსვ-ლიონი	2.50	1.40
18359	რეალი-არსენალი	1.70	1.95
18360	რეინჯერსი-ვილიარეალი	2.90	1.35
18361	ვერდერი-იუვენტუსი	3.40	1.25
18362	ჩელსი-ბარსელონა	1.90	1.65
18363	აიაქსი-ინტერი	4.00	1.20

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაიაზუსტეთ

მსოფლიოს თასი 2006 9 ივნისი

18:00	9012	იაპონია	130.00
18:00	9012	ეკვადორი	12.00
18:00	9012	ავსტრალია	80.00
18:00	9012	პოლონეთი	75.00
18:00	9012	სერბეთი	50.00
18:00	9012	ტერანი	45.00
18:00	9012	მექსიკა	40.00
18:00	9012	შვეიცარია	28.00
18:00	9012	ტუნისი	280.00
18:00	9012	პორტუგალია	18.00
18:00	9012	აშშ	95.00
18:00	9012	არგენტინა	9.00
18:00	9012	იტალია	8.50
18:00	9012	გერმანია	7.50
18:00	9012	ინგლისი	6.50
18:00	9012	ბრაზილია	3.70
18:00	9012	შვეიცარია	100.00
18:00	9012	ნიგერია	25.00
18:00	9012	ტოგო	290.00
18:00	9012	პოლონეთი	15.00
18:00	9012	კოტ დივარი	80.00
18:00	9012	ს.არაბეთი	600.00
18:00	9012	საფრანგეთი	10.00
18:00	9012	ანგოლა	380.00
18:00	9012	ხორვატია	100.00
18:00	9012	ბრაზილია	250.00
18:00	9012	განა	190.00
18:00	9012	პარაგვაი	130.00
18:00	9012	ჩეხეთი	120.00
18:00	9012	ტრინიდადი	800.00
18:00	9012	კოტე რიკა	500.00
18:00	9012	ირანი	450.00

მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფში I ადგილი

ჯგუფი A 9101			ჯგუფი B 9102			ჯგუფი C 9103			ჯგუფი D 9104			ჯგუფი E 9105			ჯგუფი F 9106			ჯგუფი G 9107			ჯგუფი H 9108		
18:00	კოტე რიკა	15.00	18:00	ინგლისი	1.45	18:00	ხორვატია	9.00	18:00	ანგოლა	12.00	18:00	აშშ	7.00	18:00	ხორვატია	6.20	18:00	საფრანგეთი	1.30	18:00	ესპანეთი	1.50
18:00	გერმანია	1.35	18:00	შვეიცარია	3.10	18:00	არგენტინა	1.95	18:00	ირანი	10.00	18:00	იტალია	1.65	18:00	ავსტრალია	12.00	18:00	შვეიცარია	4.80	18:00	ტერანი	3.00
18:00	პოლონეთი	4.50	18:00	პარაგვაი	7.00	18:00	პოლონეთი	2.40	18:00	პორტუგალია	1.80	18:00	ჩეხეთი	3.00	18:00	იაპონია	12.00	18:00	კორეა	10.00	18:00	ტუნისი	8.50
18:00	ეკვადორი	9.00	18:00	ტრინიდადი	35.00	18:00	კოტ დივარი	9.00	18:00	მექსიკა	2.10	18:00	განა	10.00	18:00	ბრაზილია	1.20	18:00	ტოგო	15.00	18:00	ს.არაბეთი	30.00

ოლ სტარი 2006 ჰიუსტონი. 17-19 თებერვალი

გაუუმჯობესებელი. იფრინოს

აღმოსავლეთმა ლებრონ ჯეიმსი აწია

AFP ჰიუსტონიდან

ვერ გამოვიდა ეს ოლ სტარი ისეთი, მასპინძელი ჰიუსტონელები და, საერთოდ, დასავლელები რომ ისურვებდნენ, თორემ აღმოსავლელებს ალბათ ტკბილად მოაგონდებათ. ჰა, ვაშინგტონელ ჯილბერტ არენასს ჩარჩეს გულში ხინჯად, რაკიღა ლიგის მეოთხე ბომბდამშენმა და თამაშში საშუალოდ 28 ქულის მშოვნელმა სამხრეთ ტეხასიდან კინკილა ქულა თუ წაიღო.

სხვაფრივ კი 55-ე ოლ სტარი შედგა და პატივდებულმა ჟიურიმ ორი ქულით გამარჯვებული აღმოსავლეთიდან ამოარჩია უძვირფასესი. პრიზი სამართლიანად შეხვდა კლივლენდელ ვარსკვლავიჭუნა ლებრონ ჯეიმსს, ვინც 29 ქულით აღმოსავლელებში ყველას აჯობა და ოლ სტარების ნახევარ საუკუნეს გადაცილებული ისტორიის ფურცლებზე ყველაზე ახალგაზრდა უძვირფასესად ჩაეწერა. ლებრონი 21 წლისაა, ძველი რეკორდსმენი კი ოსკარ რობერტსონი გახლდათ, რომელმაც შორეულ 1961 წელს 22 წლისამ ივარსკვლავა ვარსკლავთკრებულში.

ეს ოლ სტარი 20-30 წლის წინ რომ გამართულიყო, მაშინ, ალბათ, არ დაემხობოდა ასაკობრივი რეკორდი. ჯორდანი რომ ჯორდანი იყო, 1985 წელს მასაც ამრეზით შეხვდნენ ბებერი ვარსკვლავები, მასში მეტოქეს თუ ხედავდნენ და იმიტომ. დღეს კი თაობათა შორის ბოლმიანობა სადღაც მიჩქმალულა და ყოველ შემთხვევაში დუნიას დასანახად ლებრონს არავინ დაუმალავდა პასს, ემანდ ამ პირტიტველა ბიჭუნამ ჩვენი კუთვნილი პატივი და დიდება არ მიითვისოსო.

შაკილ ონილმა, თვით „ღორმუცელა“ ალენ აივერსონმა და დანარჩენებმაც ლებრონს ზურგზე ხელი დაჰკრეს და ანიშნეს, მიდი, ფრენით ისიამოვნე და ჩვენც გვასიამოვნეო. მანაც მეგობრობაც შეირგო, პასიც და დიდრონ დასავლელ ვარსკვლავებს ისე ებურთავა, თითქოს უსუსური „შარლოტ ბობქეთსი“ მიიმწყვდია და მისი ჩაგვრით ტკბებაო.

ძველი ვარსკვლავი სკოტი პიპენი მანამდე ამბობდა, თქვენი არ ვიცი და მე ჩემდათავად ამ ოლ სტარში ლებრონისა და კობი ბრაიანტის დუელის ნახვას ველიო. დასავლეთსაც ჰყავდა ერთი გამორჩეული ვარსკვლავი, ოღონდ ეს კობი კი არა, ტრეისი მაკგრეიდი გახლდათ, ვისაც მთელმა დასავლეთმა გამოუგზავნა პასები, კარგი ბიჭი ხარ, თან ჰიუსტონელი და უძვირფასესის პრიზი ალალ შენი იყოსო. მაშინ, როცა მეორე ჰიუსტონელი, წოწოლა ჩინელი იაო მინი შაკილ ონილის ხელებში უმწეოდ იგრიხებოდა, მაკგრეიდიმ სულ აიღო თავზე ხელი და 27 წუთში 36 ქულა მოიფქვა. თვით ნარგვარ ტიტულებს დახარბებული კობი ბრაიანტიც მას უთმობდა ბურთს და სულაც არ შერცხვენია, 8 ქულით რომ დატოვა მოედანი. სამაგიეროდ, კობის 8 პასი მოუგროვდა და ნუ დავუკარგავთ, ეს 8 პასი ოციოდ ქულასაც ჯობს. მოკლედ, ეს სალამო მაკგრეიდისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ...

დასავლეთს უნდა მოეგო ძალიან ბევრი მიზეზის გამო: 1 — შინ თამაშობდა; 2 — სიმაღლესა და ფარქვეშეთში უპირატესობდა; 3 — მესამე მეოთხედში 21 ქულით იგებდა; 4 — ... რა, ცოტაა?

თანაბარი პირველი მეოთხედის შემდეგ დასავლელებმა ხელი გამოიღეს და პარკერისა და მაკგრეიდის ჩაუქი ბურთაობით შორსაც წავიდნენ. აღმოსავლელები ძაღლებივით არ გამონთებიან, შოუა და რა გვენაღვლებაო. მაგრამ პირველი ტაიმი ამ ღლაბუცობა-კისკისში 17 ქულით რომ წააგეს და მესამე 12-წუთეულში 21 ქულითაც რომ ჩამოქვეითდნენ, მერე კი იკადრეს ოფლის მოდენა და ნაღდი კალათბურთიც შეუბერეს. სტუმართა დეტროიტელმა მწვრთნელმა ფლიპ სანდერსმა დაივიწყა, რომ გუნდის თავკაცი სიმბოლურადაა და მხოლოდ ის ევალება, ყველა მოთამაშე რიგრიგობით და ანგარიშმიუცემლად ააყენოს სკამიდან. მესამე მეოთხედის შუაწელს მან ოთხივე დეტროიტელი ქოფაკი შემოუშვა — ბილაფსი, ჰამილტონი და ორივე ვოლესი. ამათ როგორი დაცვა იციან, კაცს კი არა, ტანკს გაჭეჭყავენ... სანდერსს მეხუთე დეტროიტელი შეგირდი ტაიშონ პრინსი ჰიუსტონში არა ჰყავდა, ჰოდა, ხუთეული ლებრონ ჯეიმსით შეავსო და უფიცხესი ბრძოლაც გაჩაღდა.

აღმოსავლელებმა (დეტროიტს + ლებრონი) მესამე მეოთხედით ბოლო წუთებში თითქმის სრულად ამოიღეს დანაკარგი, დასავლეთს იმ გვარიანი უპირატესობიდან 3 ქულა თუ შეარჩინეს და მეოთხეში სხვა აღმოსავლელებსაც ისეთი გული მიეცათ, სამნახევარი წუთით ადრე უკვე 117:107 იგებდნენ. ამ გარდამტეხ ეპიზოდში რამდენიმემ გამოიჩინა თავი — ბენ ვოლესმა ზედიზედ ორჯერ დაუფარა და საერთოდ ქულა არ აღირსა ესპანელ პაუ გასოლს. „დეტროიტის“ საველე ძეთაურმა ჩონსი ბილაფსმა წყვილად ჩააგდო შორიდან და სხვებიც აიყოლია. არც ლებრონის თაობის დუელი ვეიდის გარჯაა დასაკარგი.

ბოლო წუთებში დასავლელები ისევ მაკგრეიდიმ გამოაფხიზლა — საჯარიმოც ჩააგდო, სამქულიანიც დასჭექა და მოხდენილადაც ჩატენა. ბოლო წუთზე „თიმეექს“ კობიც წამოეშველა, ვინაც საფინალო სირენამდე 32 წამით ადრე ჩატენვით გაათანაბრა — 120:120. გადამწყვეტი ბურთი კი დუნ ვეიდისა იყო. მან 16 წამით ადრე აივერსონის აცილებულს დაამატა.

დასავლელებმა ბოლო წამებზე ისევ მაკგრეიდის ჩაუგდეს ხელში ბურთი, ამანაც ისროლა, მაგრამ ლებრონმა ხელი აუკრა, ააცილებინა და ბურთისთვის ბრძოლაში დროც გაილია. ნამატჩევს მაკგრეიდი კი ამბობდა, ლებრონმა რომ დამიფარა, ნაღდი ჯარიმა იყოო და დამფარებელმაც აღიარა, კი, მოვარტყი თითებშიცო, მაგრამ ვინღა დაეძებდა. ოლ სტარის ისტორიაში ყველაზე ნორჩმა უძვირფასესმა კუთვნილი პრიზი ზეაღმართა და მალე ხალხიც დაიშალა სახლებში.

კოტე ყორშია

AFP ჰიუსტონიდან

ადრე ძმები, ახლა მტრები: კობი შაკს წამოეპარა

დასავლეთი

მწვრთნელი: აივერი ჯონსონი (დალასი)

	წ	3ქ	2ქ	საჯ	მ	პ	ჩ	დ	ქ
ს. ნეში (ფინ)	28	0-0	1-2	0-0	5	6	1	-	2
კ. ბრაიანტი (ლეიკ)	26	0-5	4-6	0-0	7	8	3	-	8
ტ. მაკგრეიდი (ჰიუს)	27	4-10	11-16	2-7	-	2	1	-	36
ტ. დანკანი (ს. ანტ)	21	0-0	6-7	3-3	10	1	1	1	15
ი. მინი (ჰიუს)	19	0-0	2-5	1-2	2	1	1	-	5
ტ. პარკერი (ს. ანტ)	21	0-1	3-7	2-2	-	4	-	-	8
კ. გარნეტი (მინ)	16	0-0	1-9	0-0	9	4	1	-	2
რ. ალენი (სიეტ)	18	0-7	4-6	0-0	2	1	-	-	8
დ. ნოვიცკი (დალ)	16	0-3	4-5	2-3	6	-	-	-	10
შ. მარიონი (ფინ)	17	0-0	5-9	4-7	8	-	1	1	14
ე. ბრენდი (კლიპ)	17	0-0	6-11	0-0	7	-	1	-	12
პ. გასოლი (მემ)	14	0-0	0-3	0-0	12	1	-	-	-
სულ	240	4-26	47-86	14-24	68	28	10	2	120

აღმოსავლეთი

მწვრთნელი: ფლიპ სანდერსი (დეტროიტი)

	წ	3ქ	2ქ	საჯ	მ	პ	ჩ	დ	ქ
ა. აივერსონი (ფილ)	26	0-0	5-14	2-4	2	2	-	-	12
დ. ვეიდი (მაი)	31	0-0	9-11	2-2	4	3	2	1	20
ლ. ჯეიმსი (კლივ)	30	4-10	8-11	1-5	6	2	2	-	29
ვ. კარტერი (ნ. ჯერ)	18	0-0	2-5	1-2	4	2	1	-	5
შ. ონილი (მაი)	23	0-0	7-9	3-5	9	4	1	-	17
ბ. ვოლესი (დეტ)	24	0-0	0-1	0-2	8	2	3	2	-
რ. ვოლესი (დეტ)	17	0-4	1-2	0-0	2	-	1	-	2
კ. ბოში (ტორ)	17	0-0	3-7	2-3	8	2	-	-	8
ჩ. ბილაფსი (დეტ)	16	2-5	4-5	1-1	4	7	-	-	15
პ. პირსი (ბოს)	15	0-0	3-6	1-2	2	1	1	-	7
რ. ჰამილტონი (დეტ)	13	0-0	3-7	0-0	-	1	-	-	6
ჯ. არენასი (ვაშ)	10	0-2	0-2	1-2	-	1	1	-	1
სულ	240	6-21	45-80	14-18	49	27	12	3	122

საქართველოს ჩემპიონატი

ვ.ბერაძე დოლენგაძეების ფოტო

აბა, ვნახოთ თსუ

უსტიაშვილმა სტუდენტობის გემო გაიხსენა

ვ.ბერაძე დოლენგაძეების ფოტო

გუშინდელი ტური დიდად საინტერესო ვერ გამოდგა. ისე, სიმართლე ითქვას, დაძაბულ ორთაბრძოლებს არც არავინ ელოდა, რაკი ერთმანეთს განსხვავებული კალიბრის გუნდები ხვდებოდნენ.

გამონაკლისად შეიძლება ცხრილში მეზობლების — „აზოტისა" და „დინამოს" შეხვედრა ჩაითვალოს, მაგრამ ვერც ამ გუნდებს ვუწოდებთ ტოლძალოვანს. რუსთაველებმა ხომ სულ ახლახან ისე გაიძლიერეს შემადგენლობა, რომ ბევრი ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატებათ თვლის და დღევანდელი გადმოსახედიდან ცხრილში შეუფერებელი ადგილიც უკავიათ.

ჰოდა, გუშინდელმა მატჩმაც გამოაჩინა, რომ „აზოტის" ადგილი არა სამი გუნდის უკან, არამედ ცხრილის თავშია — ქვემოქართლელებმა მწვრთნელგამოცვლილი დინამოელები ერთი ამოსუნთქვით, ძალიან იოლად დაამარცხეს. რუსთაველთა მარტო სამ მოთამაშეს — ზვიად ბაბიაშვილს, ჟოლვეტ ტუჯანს და დავით იმნაძეს — იმაზე ორჯერ მეტი მოხსნა დაუგროვდა, რამდენიც მთლიანობაში „დინამოს".

თბილისელთა თავკაც ზაზა ცაგარეიშვილს რუსთავში დამარცხებისთვის არავინ გაკიცხავს, მაგრამ დებიუტისთვის ასეთი წაგება კარგ ხასიათზე არავის დააყენებს.

დებიუტით კმაყოფილი არც დავით უსტიაშვილი, „თსუ-ნიკორას" ახალი დამრიგებელი უნდა დარჩენილიყო. მართალია, მისმა შეგირდებმა „მაკაბი" დაამარცხეს, მაგრამ ამ გუნდებს შორის ძალთა ბალანსის შეუფერებლად, მხოლოდ 97:89.

ამ წრემდე ყველაფრის მომგებმა თსუ-მ აუტსაიდერ „მაკაბისთან" ვერაფრით გაილაღა. ჯამლეტ ხუხაშვილის სამწყსომ დასაწყისში გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია სტუდენტებს და მერე, რომ ჩამორჩა, მეტოქეს კუდიდან აღარ მოსცილებია.

ისე, თსუ-ელების გამართლებაც შეიძლება, რადგან ისეთ მეტოქეს ხვდებოდნენ, გამარჯვებისა წინდაწინ იცოდნენ. თანაც დავით უსტიაშვილმა ხუთიოდ დღეა, თსუ ჩაიბარა და სანამ გუნდის კუთხე-კუნჭულებშიშესაჭვრეტად ცოტაოდენი დრო კი სჭირდება.

არადა, ჩანს, რომ „დინამოს" ყოფილი თავკაცი თავისი ხელწერით მოვიდა თსუ-ში. მან გუშინდელი მატჩი ორი ნომინალური გამთამაშებლით — ირაკლი ბერიშვილითა და გიორგი მარხვაშვილით დაიწყო. ასეთი რამ ამ სეზონში არასდროს მომხდარა: უსტიაშვილის წინამორბედი მამუკა ტურაშვილი ამათგან ხან ერთის აყენებდა დამწყებ ხუთეულში და ხან მეორეს.

„თსუ-ნიკორა" საკმაოდ სწრაფი გუნდი იყო, კონტრშეტევები უყვარდა და სწორედ ასეთი ტაქტიკის მოტრფიალე უსტიაშვილის მისვლით სტუდენტებისგან ბევრი კიდევ უფრო აჩქარებას მოელოდა, მაგრამ ახალი მწვრთნელი გუშინ ხშირად მოუწოდებდა სტუდენტებს, მიდით, სწრაფადო, მაგრამ თსუ-ს თამაშს მთლიანობაში ზანტი ეთქმოდა.

ასე იყო თუ ისე, თსუ-მ მაინც დაამარცხა „მაკაბი" და უსტიაშვილმაც „სტუდენტური" კარიერა წარმატებულად დაიწყო.

გუშინდელ სხვა მატჩებს არც კი შეეხედებოდათ, ისეთი უთანასწორო და ცალფარა იყო. „ავიამშენმა" ღიღინ-ღიღინ დაამარცხა ვაჟა კვარაცხელიას დაქსაქსული სსუ, ხოლო ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა ქუთაისელებს თავიდანვე ჩაუხშო ბრძოლის ჟინი, როცა საწყისი მეოთხედი 33:12 მოუგო.

ირაკლი პერტაია

20 თებერვალი. ბერის ბაღი

ავიამშენი 110:69 სსუ

25:18 27:19 27:19 31:13

ავიამშენი: ნ. ნოზაძე (8), ი. ხოშტარია, მარკოიშვილი (8), ნინიაშვილი (21), მინაშვილი (16); წონელია (19), ნიკოლაძე (19), ბექაური (3), ბ. ბერიშვილი (10), როდუმტა (4), ბ. ნოზაძე (2)

სსუ: პატარაია (12), მახარაძე (2), მ. ხოშტარია (4), კორძაძე (7), ლ. ნოზაძე (17), მოდებაძე (5), ონიკაშვილი (6), ქვარაია (3), ქვილითაია (13), ცერცვაძე, რობიტაშვილი

მსაჯები: მალხაზ ანდღულაძე, დავით აბაშიძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

სტუ 101:84 ქუთაისი

33:12 23:22 19:25 26:25

სტუ: მიქაძე (11), ხეცურიანი (24), მურჯიკნელი (15), ლ. შანიძე (18), ახალკაცი (3); ნინუა (16), ლოსაბერიძე (7), კეიდია (4), ბერბიჭაშვილი (2), ქისტაური (1), კოხრეიძე

ქუთაისი: ნარსია (7), პირტახია (8), მამასახლისი, კოლუაშვილი (26), ნ. შანიძე (4); ყიფიანი (20), ცერცვაძე (5), ბერუაშვილი (4)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

თსუ-ნიკორა 97:89 მაკაბი

34:25 24:19 23:22 16:23

თსუ-ნიკორა: ი. ბერიშვილი (2), მარხვაშვილი (17), საყვარელიძე (19), დიდია (8), მუშკუდიანი (2); კეშელავა (11), ლეფავა (11), ტყეშელაშვილი (7), ფანწულიძე (9), ვეფხვაძე (7), სანიკიძე (4)

მაკაბი: გ. დოლიძე (6), კორკოტაძე (12), ვაშაკიძე (24), აბულაძე (12), გ. შერმადინი (31); ი. დოლიძე (31), აკოლაშვილი (1), ფიცხელაური, ს. შერმადინი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მალხაზ ანდღულაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

20 თებერვალი. რუსთავი

აზოტი 106:70 დინამო

სატურნირო ვითარება

თსუ	18	17	1	+246	35
ავიამშენი	18	15	3	+401	33
სტუ	18	12	6	+94	30
აზოტი	17	10	7	+202	27
დინამო	18	7	11	+24	25
მაკაბი	18	5	13	-290	23
სსუ	18	2	16	-470	20
ქუთაისი	17	2	15	-197	18

ქუთაისს დაკლებული აქვს ერთი ქალაქი

ჭიდაობა

მედლები შეკრების წინ

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან განსხვავებით, საქართველოს ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა ნაკრებმა სეზონი საერთაშორისო ტურნირით გახსნა. ერონული გუნდის თავკაცი ბეგი დარჩია საევროპე შემადგენლობის კანდიდატებს პირველ შეკრებაზე 3-4 დღეში ბაკურიანში წაიყვანს, გასულ უქმეებზე კი შვიდეულისთვის მებრძოლ თერთმეტ სპორტსმენს ფრანგულ კრეტეიში დაკვირდა.

ქართული დელეგაცია საფრანგეთიდან გუშინ საღამოს ხუთი მედლითა და გუნდური ვერცხლით დაბრუნდა.

„კრეტეის ტურნირზე 14 ქვეყნის 103 მოჭიდავე გამოვიდა — გვითხრა გუშინ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა თამუნა ჯინჭარაძემ — ჩვენმა ნაკრებმა ორ-ორი ოქროსა და ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. საერთო 48 ქულით გუნდური მეორე ადგილი დაიკავა, პირველზე გასულმა სომხეთმა 49 დააგროვა, მესამეადგილოსანმა საფრანგეთმა კი — 46.

ყველაზე ძლიერად ქართველები 74 კილოგრამში გამოვიდნენ. მანუჩარ კვირკველია ჩემპიონი გახდა. ფინალში მან გენადი გოგიშვილს მოუგო. ოქროს მედლით დაბრუნდა მძიმეწონოსანი რევაზ ჭელიძეც, ხოლო ამავე წონაში მოჭიდავე გიორგი ჯობავა მეშვიდე იყო.

შალვა გაღაბაძეს ოქრომდე ერთი მოგებაღა დაკლდა — ფინალში ის ფრანგ მელონინ ნაუმონოვთან დამარცხდა. ბრინჯაოს მედალი კი დარჩიას გუნდის უმსუბუქესმა წევრმა ირაკლი ჭოჭუამ მოიპოვა.

მოულოდნელად უმედლოდ დარჩა ჩვენი ოლიმპიური პრიზიორი და ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი რამაზ ნოზაძე. იგი მერვე ადგილზე გავიდა, თუმცა კონკრეტულად ვისთან დამარცხდა, ამას დღეს შევიტყობთ — საფრანგეთმოვლილი ბერძენ-რომაელები ასევე საერთაშორისო ტურნირებზე ნაჭიდავებ თავისუფლებთან ერთად პრესკონფერენციის ჩატარებას აპირებენ.

ვ.ბერაძე დოლენგაძეების ფოტო

მანუჩარ კვირკველია

ოთარ გაღლაკელიძე

კარატე

კასპური დებიუტი

კარატისტებმა გიორგი სააკაძე ახსენეს

19 თებერვალს კასპში კარატისტები შეიყარნენ და კარატე დოს სეზონის პირველი ტურნირი გამართეს. კასპის თასის გათამაშება გამორჩეული იმითაც იყო, რომ მონაწილეებს უფასოდ შეეძლოთ ხალიჩაზე გასვლა.

„სულ თოთხმეტი გუნდი მოგროვდა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან — გვითხრა ნატურნირევს კარატე დოს კლუბ „კასპის" პრეზიდენტმა ალეკო მანჭულაშვილმა — მედლები 7-დან 17-წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში, გოგონებსა და ვაჟებს შორის გათამაშდა, 17 წლის ზემოთ კი აბსოლუტური ჩემპიონატი მხოლოდ ვაჟებში ჩატარდა. ტურნირის შედეგების მიხედვით საქართველოს ნაკრები უნდა დაკომპლექტდეს, რომელიც საერთაშორისო არენაზე გავა. კასპში მორიგ შეჯიბრს სავარაუდოდ ზაფხულში ჩავატარებთ. გვინდა, იგი ტრადიციულ ზეიმს, საკაძეობას დავამთხვიოთ და გიორგი საკაძის სახელობის ტურნირი ვუწოდოთ."

ჩემპიონ-პრიზიორების გარდა ორგანიზატორებმა გამორჩეული კარატისტები ცალკე სიგელებითაც დაჯილდოვეს. 17-წლამდელებში მეორე ადგილზე გასული გიორგი ნავროზაშვილი საუკეთესო ბრძოლებისთვის გამორჩა, ნინო პატაშური კი გასული წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელეს.

ძახა ბარბაქაძე

ტურინში ახალი დოპინგსკანდალი აგორდა

თავდასხმა იტალიურად, გაქცევა ავსტრიულად

დეტექტიური ფილმების მსგავსად განვითარდა მოვლენები ტურინის ოლიმპიურ თამაშებზე. შაბათისა და კვირის ღამეთა გასაყარზე თუ შესაყარზე ტურინის პოლიცია მოულოდნელად თავს დაეცა ავსტრიის მოთხილამურეთა და ბიატლონისტთა ნაკრებ გუნდებს და ახალი დოპინგ-სკანდალიც აგორდა. ავსტრიელთა იმ ღამეული გულისხეთქვის საბაბი გახდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც შენობაში, სადაც სტუმრები იყვნენ დაბინავებულნი, შესაძლოა უოლტერ მაიერი ყოფილიყო

უოლტერ მაიერი (მარჯვნიდან პირველი) თანამემამულეებთან ერთად

ამ უოლტერ მაიერთან, რომელიც სათხილამურო რბოლებში სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ავსტრიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო, ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სკანდალია დაკავშირებული. მაშინ, როცა ავსტრიელებმა სოლტ ლეიკ სიტში დაქირავებული კერძო ბინა დატოვეს, იქ სისხლის გადასხმის აპარატურა აღმოაჩინეს. საუბარი იყო „სისხლის დოპინგზე", რაც შეგედების გაუმჯობესების მიზნით სპორტსმენის საკუთარი სისხლის გადასხმას გულისხმობს. მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს (ვადა) წესების თანახმად, ამგვარი პროცედურა აკრძალულია.

ასე იყო თუ ისე, მაშინდელი გამოძიების შედეგად მაიერი სათხილამურო სპორტისა და ბიატლონის ფედერაციათა ეგიდით გამართული ყველა შეჯიბრებიდან მოკვეთეს, ახლა კი, ეჭვი გაჩნდა, რომ შავ სიაში შეტანილი ეს კაცი ავსტრიელთა ბანაკში გამოჩნდაო. იმასაც ეჭვობდნენ, რომ უოლტერ მაიერი ბნელ საქმეებს მის თანამემამულეთა ტურინში გამგზავრებამდეც ჩარხავდა. ამიტომაც ვადა მათ შესაბოწმებლად ჯერ კიდევ ავსტრიაში მიადგა.

„ჩვენ ხალხს უთხრეს, რომ ავსტრიელები უკვე იტალიაში არიანო" — თქვა მაშინ ვადას მეთაურმა პაუნდმა.

ახლა, როცა პაუნდმა იტალიის პოლიციისგან შეიტყო, მაიერი ავსტრიელთა გუნდშიაო, უმალ აფორიაქდა და იფიქრა, აქ, რაღაც ყველაფერი რიგზე ვერაა.

ერთი სიტყვით, შაბათ-კვირის ღამეს პროკურორის სანქციით იტალიელი პოლიციელები ავსტრიელთა ბინას დაეცნენ. მათ თხუთმეტი სპორტმენი თავიანთი საცხოვრებლებიდან ხუთი კილომეტრის დაშორებით გააქანეს და დაუგეგმავი დოპინგ-ანალიზებიც ჩაუტარეს. ამ ტესტების შედეგებზე ჯერ არაფერია ცნობილი და პოლიციელებმა ვერც ავსტრიელთა ბინის ჩხრეკისას აღმოაჩინეს რამე კანონსაწინააღმდეგო. ან რას აღმოაჩენდნენ, როცა ერთ-ერთმა სპორტსმენმა ზოგიერთი სამედიცინო საშუალება ფანჯრიდან გადაყარა, მათ შორის გამოყენებული და გამოუყენებელი ნემსები, აგრეთვე მედიკამენტები.

„ამის დაჯერება უბრალოდ შეუძლებელია. ჩვენი გუნდი ოლიმპიურ სოფელშიც კი არ ყოფილა. ჩვენ კერძო ბინებს ვქირაობთ. ეს გაუგონარია. ვსხედვართ ჩვენთვის წყნარად — ვისვენებთ და მოულოდნელად 20-30 კაცი შინ გვივარდება. ერთ-ერთი მათგანი კი კარში ყარაულად ჩადგა, თითქოს ვინმე სადმე გაქცევას აპირებსო. ყველანი დივანზე ჩამოგვაჯინეს. აზრზე არა ვართ, პოლიციელებს თავში რა ჰქონდათ და რას ეძებდნენ" — თქვა სათხილამურო ორჭიდში ავსტრიის ნაკრების დირექტორმა მარკუს განდლერმა. მას მხარი აუბა ავსტრიელ ბიატლონისტთა მთავარმა მწვრთნელმა ალფრედ ედერმა:

„ჩვენ ძალიან გაღიზიანებულები და აღშფოთებულნი ვართ. ეს ყველაფერი ძალზე უხეშად და უზრდელურად იყო. ჩვენს სპორტსმენებს საათობით უწყობდნენ დაკითხვას, აღმაშფოთებელი ჩხრეკა კი ოთხ საათს გაგრძელდა. ავსტრიიდან ჟურნალისტებიც მირეკავდნენ, მაგრამ არც კი ვიცოდი, რა მეთქვა. ირგვლივ სულ პოლიცია იყო. არ დაუპატიჟრებივართ, მაგრამ შენობის დატოვება აგვიკრძალეს, მაგრამ გეკითხებით, რატომ, რისთვის, რის საფუძველზე?"

ტურინში ავსტრიელ ბარის მოთხილამურეებს და ბიატლონისტებს მედალი არ მუოპოვებიათ, მაგრამ აი, მათმა ვოლფგანგ პერნერმა, რომელიც მეორმოცე წელშია, სპრინტში მეოთხე ადგილი დაიკავა, რითაც სპეციალისტები ძალზე გააკვირვა, რაკიღა ეს ვეტერანი ამ სეზონში სულაც არ ბრწყინავდა.

ისიც საეჭვოთ მიაჩნიათ, რომ ავსტრიელები ძირითად იმედებს ბიატლონისტებზე ესტაფეტაში ამყარებდნენ, სადაც მათ იანვარში რუპოლდინგში გამართულ მსოფლიოს თასის ეტაპზე მოულოდნელად მეორე ადგილი დაიკავეს.

ავსტრიელთა ოლიმპირი კომიტეტის გენერალური მდივანი ჰაინს იუნგვირტი ამბობს, ეჭვი რაღაცით უნდა იყოს გამართლებული აქ კი ყველაფერი საიდანღაც ჰაერში გაჩნდა. ამიტომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში უთუოდ ვიჩივლებთო.

იჩივლეს კიდეც, მაგრამ სოკ-ში საჩივარი არ მიიღეს. ამასთან, ავსტრიელებს იმის აღიარებაც მოუხდათ, რომ ვალტერ მაიერი მათ მართლაც სტუმრობდა.

„მაიერი ტურინში კონფიდენციალურად ჩამოვიდა, როგორც მაყურებელი. იგი ავსტრიელებს ბინაზეც ესტუმრა. მათ ალბათ ერთი ორი რჩევაც მისცა. ის კაცი მწვრთნელია და, აბა, ამინდზე ხომ არ ისაუბრებდა?" — თქვა ავსტრიის მოთხილამურეთა ფედერაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

ვალტერ მაიერის სტუმრობა თანამემამულეებთან დადასტურდა ერთი ოფიციალური ფოტოთიც, რომელიც მან მათთან ერთად გადაიღო.

უფრო კურიოზული კი ის იყო, რომ ვალტერ მაიერი პოლიციელთა ხელში სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა, როცა კვირა-ორშაბათის ღამეს, იტალიის საზღვართან 15 კილომეტრის დაშორებით, მან მაინცდამაინც საპოლიციო ღობეს დააჯახა მანქანა. მაიერმა პოლიციელებს უარი განუცხადა ალკოჰოლურ შემოწმებაზე და იგი ჯერ-ჯერობით მათ ხელშია.

ისიც საინტერესოა, რომ ავსტრიელთა ბანაკზე იტალიელ ჰოლიციელთა რეიდის მერე 10 სტუმარი სპორტსმენიდან ორნი ნაკრებიდან გარიცხეს მას მერე, რაც სამართალდამცავთა ღამეული ვიზიტის მერე სპორტსმენებმა უნებართვოდ მიატოვეს იტალია.

თავის მხრივ, ავსტრიელ ბიატლონისტთა და მოთხილამურეთა საქმეში ჩაერთო ტურინის პროკურორი რაფაელე გვარინიელო, რომელიც ცნობილია იტალიის საფეხბურთო კლუბებში დოპინგ-სკანდალების გამოძიებით.

ავთანდილ ბუკვიშელი

მედალი გინდა, ჰიმნი არა?!

პლანკენშტაინერს აღარ ემღერება

როცა ორადგილიანი ციგებით შეჯიბრებაში იტალიელმა გერჰარდ პლანკენშტაინერმა თავის მეწყვილე ოსვალდ ჰასელრაიდერთან ერთად ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, სიხარულით მეცხრე ცაზე დაფრინავდა, ახლა კი თანამემამულე პოლიტიკოსები მას ჯილდოს დაბრუნებისკენ მოუწოდებენ, აქაოდა როგორც ჟურნალისტებს გამოუტყდი, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნი არ გცოდნიაო.

გერჰარდ პლანკენშტაინერი ტიროლელია, სადაც იტალიის გერმანულენოვანი ნაწილი ცხოვრობს. გერჰარდზე ყველაზე სერიოზული იერიში მემარცხენე პარტიის წარმომადგენელმა მარგარიტა რიკარდო ლილარიმ მიიტანა. იგი ამბობს, ამ ტირორელმა ან უნდა უარყოს თავისი სიტყვები, იტალიის ჰიმნი არ ვიცი, ან მედალი დაუბრუნოსო.

ვილარის მხარი აუბა იტალიის ყოფილმა პრეზიდენტმა ფრანჩესკო კოსიგამ:

„პლანკენშტაინერი ტიროლელია, ისინი კი ავსტრო-უნგრეთის ქვეშევრდომები იყვნენ. პლანკენშტაინერი იტალიის მოქალაქეა, მაგრამ იგი იტალიელ ერს არ მიეკუთვნება. თუ იგი თავს იტალიელად არ გრძნობს, მაშინ გაუგებარია, რატომ არის იგი იმ ქვეყნის გუნდში, რომელიც იტალიურ ერს წარმოადგენს."

სპორტსმენს მხარს უჭერენ სამხრეთ ტიროლის სეპარატისტული კავშირის წარმომადგენლები:

„თუ ვინმეს ტიროლელები პატრიოტებად არ მიაჩნია, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ოლიმპიურ თამაშებზე ცალკე გუნდით გამოვიდეთ და ასეთი ნაკრები ცოტა მედალს არ მოიპოვებს."

თავად პლანკენშტაინერი ირწმუნება — კორესპონდენტის კითხვა უბრალოდ კარგად ვერ გავიგეო:

„შეჯიბრების მერე ძალიან დაღლილი ვიყავი. მე მხოლოდ ის გავიგე, მღერიხარ თუ არაო, ფრაზის დანარჩენი ნაწილი არც გამიგონია. ვიფიქრე, რომ ჰიმნზე კი არა, ეროს რამაზოტის რაღაც სიმღერაზე მეკითხებიან-მეთქი. ეს ჩემი დანაშაულია. როგორც ტიროლის ბევრი მცხოვრებისთვის, ჩემი გერმანულიც სრულყოფილებისგან შორსაა."

ამის შემდეგ სპორტსმენი იძულებული გახდა ჰიმნიდან რამდენიმე სტროფი მიკროფონის წინ ემღერა და ბოდიშიც მოეხადა.

საინტერესოა ამ მოციგავის მწვრთნელის მარკო ანდრეატის სიტყვებიც. იგი ამბობს, რომ სპორტსმენებისთვის ორი ენის ცოდნა ძალზე სასარგებლოა:

„გერმანიაში შეჯიბრებისას ჩვენ მუდამ იტალიურად ვლაპარაკობთ, ხოლო იტალიაში პირიქით, რათა ჩვენი საიდუმლოებები არავინ გაიგოს."

სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი. ფასი 75 ლარი

რეალიზაციის მენეჯერი: **99 08 22; 99 94 09; 899 756597**
მისამართი: **რუსთაველის 42, მე-5 სართული**

GSWA
საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

მიქაელა დორფმაისტერი

AFP ტურინიდან

ბენჯამინ რაიხი

ა. ბატონო. ავსტრია!

აბრამაშვილის პერსპექტიული ფინიში

მთის თხილამურობა

კაცები

გიგანტური სლალომი

1 ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) — 2.35,00
2 ჟოელ შენალი (საფრანგეთი) — 2.35,07
3 ჰერმან მაიერი (ავსტრია) — 2.35,16
29 იასონ აბრამაშვილი (საქართველო) — 2.54,86

ქალები

სუპერ-გიგანტი

1 მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 1.32,47
2 იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) — 1.32,74
3 ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) — 1.33,06

ტურინში როგორც იქნა გამოიდარა და სამთო მოთხილამურეებსაც საშუალება მიეცათ, მედლების მორიგი კომპლექტი გაეთამაშებინათ. გუშინ ორი შეჯიბრი ჩატარდა — გიგანტური სლალომი კაცებს შორის და კვირიდან უამინდობის გამო ორშაბათისთვის გადმოტანილი ქალთა სუპერ-გიგანტი.

საბოლოოდ, ორშაბათი ავსტრიული დღე გამოდგა. თუმც, ჩვენს ინტერესს ამ შემთხვევაში კაცთა შეჯიბრი იწვევდა, რადგანაც აქ ჩვენი თანამემამულე იასონ აბრამაშვილი მონაწილეობდა.

ქართველმა მოთხილამურემ მთლიანობაში ცუდად ნამდვილად არ ისრიალა. აბრამაშვილი რომ მედლებისთვის ბრძოლას ვერ შეძლებდა, თავიდანვე ნათელი იყო, მაგრამ მაინც ინტერესს იწვევდა, როგორ წარმოაჩენდა ოლიმპიადაზე საკუთარ თავს ქართველი სპორტსმენი. ისიც ყურადსაღებია, რომ 17 წლის აბრამაშვილი მონაწილეთა შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო. მას არ დაუშვია რაიმე უხეში შეცდომა და საბოლოოდ ორი ცდის ჯამში 29-ე ადგილი დაიკავა.

არადა, ამ მოლიპულ ტრასაზე მოთხილამურეები პანტაპუნტით ილეწებოდნენ. სტარტზე თავიდან 87 მოთხილამურე გავიდა. მეორე ცდისთვის კი მხოლოდ 47 სპორტსმენიღა იყო შემორჩენილი.

პირველ ცდაზე აბრამაშვილზე გაცილებით გამოცდილმა მოთხილამურეებმაც ვერ მოახერხეს ფინიშამდე მისვლა — ზოგი წაიქცა და ზოგიც ტრასას გასცდა. ქართველს კი ასეთი შეცდომა არ დაუშვია და პირველი ცდის შემდეგ 32-ე პოზიციაზე იყო.

მეორე ცდაზე კიდევ რამდენიმე სპორტსმენმა წაიფორხილა, რამაც ქართველს საშუალება მისცა, სამი საფეხურით წინ წაწეულიყო. ასეა თუ ისე, ქართველმა 30 საუკეთესო მოთხილამურეთა რიგებში შეძლო ადგილის დამკვიდრება.

მედლებისთვის ბრძოლა კი მართლაც ძალიან საინტერესო გამოდგა. ავსტრიელები ბოლოს და ბოლოს ელირსნენ თავიანთი მოთხილამურეებისგან ნორმალურ გამოსვლას.

ბედზე, ამინზე, ტრასაზე და ყველაზე მეტად საკუთარ თავზე გაბრაზებულმა ბენჯამინ რაიხმა მეორე ცდაზე თითქმის იფრინა და ტურინული ოქროს მოგება მხოლოდ გუშინ მოახერხა.

„ბავშვობის ოცნება ავიხდინე... მართლაც საოცარი გრძნობაა“ — ბავშვივით უხაროდა ჩემპიონს.

არადა, რაიხს ოქროს მოგება კომბინაციაშიც თავისუფლად შეეძლო, მაგრამ ბავშვური შეცდომის გამო ფინიშამდეც ვეღარ მიაღწია. შემდეგ სუპერ-გიგანტში კიდევ უფრო საზიზღრად ისრიალა და მხოლოდ 21-ე ადგილზე გავიდა. ბევრმა იფიქრა, წლევანდელი მსოფლიო თასის ლიდერი მორალურად გატეხა თავისივე ბრიყვულმა შეცდომამ და გუშინ მისგან ბევრს აღარ ელოდნენ. პირველმა ცდამ ეს დაამტკიცა კიდეც, მაგრამ ტრასაზე მეორედ გასულმა რაიხმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა.

ისე, პირველი ცდის შემდეგ ლიდერთა სამეულიდან მხოლოდ ფრანგმა ჟოელი შენალმა შეძლო პოზიციის შენარჩუნება და ვერცხლის მედალოსანიც გახდა. აი, კანადელმა ფრანსუა ბურკმა და შვედმა ფრედერიკ ნაიბერგმა კი პოდიუმზე მოხვედრა ვერ შეძლეს.

მესამე ადგილზე ლეგენდარული „ჰერმინატორი“ გავიდა და მეორე ტურინული მედალიც მოიპოვა.

„პრინციპში კმაყოფილი ვარ, მართალია, დღესაც და სუპერ-გიგანტშიც ფაქტობრივად ოქრო ხელში მეჭირა, მაგრამ...“ — განაწყენებული იყო „ჰერმინატორი“.

როგორც ჩანს, საერთოდ უმეტლოდ დარჩება ამერიკელი ბოდე მილერი. ამჯერად მას მხოლოდ მეექვსე ადგილი შეხვდა, მაგრამ ენას მაინც არ აჩერებს.

„არ გამიმართლა, თორემ ოთხივე შეჯიბრის დროს შემეძლო მედლის, თანაც ოქროს მოგება... ყველაფერი იმის ბრალია, რომ ჩემი მეტოქეებისგან განსხვავებით თასის ეტაპებზეც ბოლომდე ვიხარჯები ტურინში გადაღლილი ჩამოვედი.“

ავსტრიული ტრიუმფი ვიხილეთ ქალთა სუპერ-გიგანტშიც. მიქაელა დორფმაისტერმა ოქროს დუბლი გააკეთა და სწრაფდაშვების მოგების შემდეგ გუშინაც იმარჯვა. მესამეზე კიდევ ერთი ავსტრიელი ალექსანდრა მაისნიცერი გავიდა.

დორფმაისტერის გამარჯვება გასაოცარი სულაც არ ყოფილა — სუპერ-გიგანტში ამ ავსტრიელს უკანასკნელ წლებში ვერავინ ჯობს.

ვერცხლი იანიცა კოსტელიჩმა დაისაკუთრა, რომელსაც სულ რაღაც 0,29 წამი დააკლდა მეხუთე ოლიმპიურ ოქრომდე. არადა, ხორვატმა რამდენიმე საათით ადრე გადაწყვიტა სუპერ-გიგანტში მონაწილეობა.

კოსტელიჩმა მეორე ცდაზე ძალიან კარგად ისრიალა და დროებითი ლიდერიც გახდა. ყველაფერი დორფმაისტერის გამოსვლას უნდა გადაეწყვიტა — მანაც დიდებულად, ყოველგვარი ზედმეტი მოძრაობების გარეშე ისრიალა და პირველი შედეგიც აჩვენა. ფინიშზე ავსტრიელს სიხარულის არაფერი ეტყობოდა. მან უბრალოდ არ იცოდა თავისი შედეგი. აი, აქ კარგად გამოჩნდა, რომ კოსტელიჩი გარდა იმისა, რომ დიდი სპორტსმენია, მშვენიერი პიროვნებაცაა — პირველად სწორედ ხორვატი მივიდა და მიულოცა გაოგნებული დორფმაისტერს.

„აზრზე არ ვიყავი რა ხდებოდა, ტაბლოზე მხოლოდ ჩემს გვარს ვხედავდი, დრო კი არ ეწერა. შემდეგ იანიცა მოვიდა, მითხრა, მოიგეო და მომილოცა... დიდი მადლობა მას. ოლიმპიადის წინ ამის წარმოდგენაც კი არ შემეძლო — ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვარ“ — ემოციებს ვერ მალავდა ავსტრიელი.

კახა ლოგუშვილი

მართლა ნეკერჩხლის ფოთოლივით

კანადას ყველა აქეთ-იქით დაუფარფატებს

ჰოკეი

A ჯგუფი

გერმანია 2:2 შვეიცარია
0:0 1:2 1:0
ფელსკი, ბოსი — კონე დიბიეტრო

ჩეხეთი 4:1 იტალია
2:0 1:0 1:1
ჰეიდუკი, პროსპალი-3 — პარკო

ფინეთი 2:0 კანადა
2:0 0:0 0:0
სელიანე, ნ. კაპანენი

B ჯგუფი

რუსეთი 9:2 ლატვია
3:1 3:0 3:1
კოვალჩუკი-4, სუშინსკი, კოზლოვი, იაშინი, მალკინი, ოვეჩკინი — ციპრუსი, რედლიპსი

სლოვაკეთი 2:1 ყაზახეთი
0:1 1:0 1:0
ბონდრა, მარ. ჰოსა — ე. კორეშკოვი

აშშ 1:2 შვედეთი
1:1 0:0 0:1
მოდანო — ალფრედსონი, სამუელსონი

უეინ გრეცკის მეუღლე ჯეინსა და რიკ ტოკეტს საშუალება რომ ჰქონოდათ, ოლიმპიადის ჰოკეის ტურნირზე ჩამოვიდოდნენ ფსონებს. მათ კანადას ნაკრების უგოლო თამაშზე რომ დაედოთ, ალბათ, დიდძალ ფულსაც მოიგებდნენ. სამწუხაროდ, მათი ბნელი საქმეები აშშ-ის პოლიციამ ოლიმპიადამდე ამხილა და ახლა „დიადის“ უახლოეს მეგობარს პატიმრობა ემუქრება, ცოლი კი, ალბათ, ეცდება, თავი რაც შეიძლება, შორს დაიჭიროს ტოტალიზატორისგან.

ამის შესახებ ადრეც ვწერდით. გამეორება იქნებ არც იყოს საჭირო, მაგრამ ეჭვი მაინც ჩნდება, იქნებ ვილაც მართლა აკეთებს დიდ ფულს კანადის ნაკრების მარცხებზე? დიდი საერთაშორისო ტურნირების ისტორიაში ბევრი რამ მომხდარა, მაგრამ კანადის ნაკრებს რომ ზედიზედ ორ მატჩში ერთი კინკილა გოლი ვერ გაეტანოს, ასეთი ანომალია არავის ახსოვს. მას შემდეგ, რაც „ნეკერჩხლები“ სენსაციურად დამარცხდნენ შვეიცარიასთან, ბევრი მათ განრისხებას ელოდა, მით უმეტეს, რომ კანადელთა მორიგ მეტოქე ფინეთს მაინდამაინც დიდი სატურნირო მოტივაცია არ გააჩდა. „სუომის“ გუნდმა ხომ მანამდე გაინაღდა მეოთხედფინალში გასვლა.

თამაში თავიდანვე მოულოდნელი სცენარით წარიმართა. ფინელები ისე შეასხდნენ მეტოქის კარს, თითქოს სწორედ მათ სჭირდებოდათ მოგება. საკუ კოივუმ კრის პრონგერს ოსტატურად აართვა შაიბა და ტურნირის საუკეთესო გოლეადორ ტეემუ სელიანეს გაატანინა, დარტყმებში ფინელთა უპირატესობა აშკარა იყო — 11:2! საწყის მესამედში ფინელები შაიბის ჩაგდებაშიც კი სჯოყდნენ კანადას, მაშინ, როცა ამ ელემენტში „ჰოკეის დამაარსებლებს“ ბადალი არასდროს ჰყავდათ. სწორედ შაიბის ჩაგდების მოგების შემდეგ „სუომიმ“ მეორე შეაგდო და ნათელი გახდა, რომ კანადელთა საქმე ცუდად იყო. თამაშის დამთავრებამდე 40 წუთი რჩებოდა და, ვინ იფიქრებდა, რომ კანადელები ვერ შეძლებდნენ მეტოქის კარის აღებას. მათი მონდომების მიუხედავად, ანტერო ნიიტიმიაკი და ფინელთა დაცვა შეუვალი იყო და პირველი პერიოდის ანგარიში საბოლოოც გახდა. მატჩის შემდეგ კანადელები იხტიბარს არ იტეხდნენ, თუმცა ეტყობოდათ, რომ დაბნეულები იყვნენ: „თამაში უნდა გავამარტივოთ და, ალბათ, ყველაფერი გამოსწორდება“ — თქვა ნამატჩევს ადამ ფუტმა. რამდენად შეძლებენ კანადელები მდგომარეობის გამოსწორებას, მომავალში გამოჩნდება.

ისე, ჯერჯერობით საგანგაშო არაფერია, მათ ხომ განაღდებული აქვთ მეოთხედფინალი, ისევე, როგორც იმავე აშშ-ს, რომელიც ასევე არადამაჯერებლად გამოდის. შვედებთან მატჩი ამ ტურნირზე, ალბათ, საინტერესო იყო „იანკეებისთვის“, მაგრამ საბოლოო შედეგი მათთვის არასახარბიელო აღმოჩნდა. ამერიკელები ფრეს მაინც იმსახურებდნენ, მაგრამ მატჩის ბოლოს მათ აშკარად ბედმა უმტყუნა. თავის მხრივ, შვედებმა ლიდერი პეტერი ფორსბერგი დაასვენეს, რომელსაც გადამწყვეტი მატჩებისთვის ინახავენ.

რუსების მოგება ლატვიასთან ჯერეჯერობით ტურნირზე ყველაზე დამაჯერებელი გამოდგა, ხოლო ილია კოვალჩუკი პირველი ჰოკერის ავტორი გახდა.

შვეიცარიელები ორი სენსაციური მოგების შემდეგ უფრო სუსტ გერმანიასთან ფრეს დასჯერდნენ, თუმცა ეს პლეი ოფში გასვლისთვის საკმარისი აღმოჩნდა. ჩეხებმა კი პირველ პერიოდში გააქრეს მასპინძელ იტალიელთა ისედაც მცირე შანსები. ამრიგად, მეოთხედფინალისტთა ვინაობა უკვე ცნობილია და ბოლო, ტურში ერთადერთი ისღაა გასარკვევი, პლეი ოფში ვინ ვის შეხვდება.

სამველ ღარიბიანი

მედლები

	ო	ვ	ბ	სულ
1 გერმანია	7	7	4	18
2 ავსტრია	7	5	3	15
3 აშშ	7	4	3	14
4 რუსეთი	6	2	5	13
5 ს. კორეა	3	3	1	7
6 საფრანგეთი	3	1	2	6
7 იტალია	3	-	4	7
8 ესტონეთი	3	-	-	3
9 ნორვეგია	2	7	8	17
10 კანადა	2	6	5	13
11 შვეიცარია	2	2	4	8
12 ჰოლანდია	2	2	2	6
13 შვედეთი	2	1	3	6
14 ჩინეთი	1	2	4	7
15 ხორვატია	1	2	-	3
16 ავსტრალია	1	-	-	1
17 ფინეთი	-	3	3	6
18 ჩეხეთი	-	2	-	2
19 ბრიტანეთი	-	1	-	1
20 ბულგარეთი	-	1	-	1
21 სლოვაკეთი	-	1	-	1
22 უკრაინა	-	-	1	1
23 ლატვია	-	-	1	1

ყინულზე ამის კეთება ცოტა მოუხერხებელია. ცხადია, ცეკვა იგულისხმება

AFP ტურინიდან

ათოვს ყველას და ყველაფერს...

AFP ტურინიდან



იასონ აბრამაშვილს ფინიშის უკან ქართული დროშა დახვდა

AFP ტურინიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჟოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახალედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00